№ 66 სახალხო გაზეთი № 66

კვირა, 25 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

**გიორგი ივანეს ძე მაჭავარიანი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 29-ს ამა ივლისს დილით, ხუთშაბათს სოფ. ილემში, შორაპნის მაზრაში, ილმის ღვთის-მშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის მეუღლის

ჯაშა მაჭავარიანის (არდიშვილის ასულის)

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. მსურველთ შეუძლიანთ მოჰრძანდნენ სად. ძირულით. (1—ფ.—1)

**ანნა იაკობის ასული გორგასლიძისა შვილით ნინათი და ნინო გორგასლიძე** ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას პირველი—საყვარელ მეუღლისა, მეორე—მამის და მესამე—შვილის ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის

ექვთიმე პეტრეს ძე გორგასლიძისას.

დაკრძალვა სოფელ უსახელოში, ლეჩხუმის მაზრა. ადრესი დ. ცაგერი. (1—კვ.—1)

23 ივლისს, სოფ. ვაკიჯვარში (გურია) გარდაიცვალა

ოლღა ლომთათიძისა.

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ განსვენებულის მეუღლე **ალექსანდრე ლომთათიძე**, დედამთილი **ელისაბედი**, მაზლები: **გიორგი და არსენი და რძალი ელენე**. დაკრძალვა მოხდება 27 ივლისს, ნაშუადღევს, ბახვის ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში. (1—1)

## ქართული საზაფხულო თეატრი



კვირას, 25 ივლისს, გაიმართება **კონკურსი**

**მამაკაც-ფალავანთა სილამაზის შეცილება**

აძ კონკურსზე მონაწილეობას მიიღებენ ფალავანთა გარდა ადგილობრივი ჭიდაობის მოყვარულნიც

**მერვე დღე ფრანგულ მოჭიდავეთა**

ჩემპიონატისა

ნაჯი ეჭიდავება—ვანროტენს, მიხეილ მაერი—ტემელის, პეტერსონი—რეიბერს, ბერნკადო—მატუშენკოს, და ბული მახოვს. ჭიდაობის დაწყებამდე ახალი სინემატოგრაფი უჩვენებს სხვა და სხვა საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს საღამოს დასაწყისი 9 საათზე.

ჭიდაობისა $10^{1/2}$ საათზე.

**ადგილების ფასი** (30 კაპ. 2 მან.) **ყველასათვის ხელმისაწდომია.** (1—6.—1)

ტფ. ქართული გიმნაზიის

## საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ საერთოდ ეგზამენები დაიწყება მარიამობის თვის ოცსა. ხოლო პირველ განყოფილებაში შესასვლელად გამოცდა მოხდება ოცდა შვიდსა. (6—6.—2)

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

იწვევს მასწავლებელს სხვა და სხვა საგნების სასწავლებლად, მაგრამ განსაკუთრებით რუსულ ენის სწავლებისათვის ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლში. წელიწადში ექნება ჯამაგირი 1008 მანეთი. თხოვნა მიიღება ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის სახელზე 20 აგვისტომდის. (3—6.—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^{1/2}$—$2^{1/2}$ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. ცხვირ და ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წო —6. —397)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.**: შინ. და ბავშვ. ყ.- დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 21/2—31/2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ხ.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანხვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible]ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხობილევსკი გ. გ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—236)

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 აგვისტოს დ. ჭიათურაში, საბჭოს საკუთარ შენობაში, დილის 1 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა:

1. ხის ხიდის გაკეთება ქვის ბურჯებზე დიდ ჩიკაურში. სამუშაო—9000 მანეთამდე.

2. ორ-სართულიან ქვის შენობის აგება დ. ჭიათურაში 11.000 მ-დე.

3. შეკეთება და თვალ-ყურის დევნება სამრეწველო გზებისა შავი-ქვის რაიონებში. 60 ვერსის საერთო სიგრძისა. სულ 12.000 მანეთამდე.

ვაჭრობა მოხდება პირადი შევაჭრებით და ან დახურულ კონვერტების საშუალებითაც, მხოლოდ ეს კონვერტები უნდა წარდგენილ იქმნას საბჭოს კანტორაში, ჭიათურაში არა უგვიანეს 10 აგვისტოს 12 საათისა.

ვაჭრობა თითოეულ დასახელებულ სამუშაოს გასაცემად ცალკე მოხდება.

ვაჭრობის დაწყებამდე ვაჭრობაში მონაწილეობის მძლეველებმა უნდა წარმოადგინონ სამუშაოს საერთო ღირებულობის 5 პროცენტი.

ვაჭრობის საბოლოო დამტკიცება საბჭოს საქმეა. საბჭო უფლებას იტოვებს მხედველობაში იქონიოს სამუშაოს შედარებით მცირე ფასის გარდა ისიც, თუ რამდენად პირიანია და საქმის უნარი შესწევს მოიჯარადრეს.

ხარჯთ-აღრიცხვა, გეგმები, კონდიციები შეიძლება გაისინჯოს ყოველ დღე 1 აგვისტოდან მრეწველთა საბჭოს ტეხნიკურ განყოფილებაში დ. ჭიათურაში დილის 9 საათიდან 12 საათამდე. (2—6.—2)

—**კვირას, 25 ივლისს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს**—

**გაიმართება კავკასიური**



## ჭიდაობა

**მამადავითის ეკლესიის სკოლის სასარგებლოდ**

**დღეს გაიმართება 9 საინტერესო ჭიდაობა**

კულა გლდანელის

ხელმძღვანელობით

**ამ კვირია იჭიდავებს კახეთის გამოჩენილი სახელოვანი მოჭიდავე**

1. ნორიელი ქონდარა ლონიაშვილი და გიორგი ჯიბგირი 2. გიორგი დოთიაშვილი (გორელი) და მიხეილა ჩაგროვი; 3) მამუა ვერელი და რაჟდენა გაბათაშვილი (ლილოელი); 4) პატარა კახელი და ილიკო გეცაძე; 5) ბებერუა როსტიაშვილი და შერაზაშვილი (კუნძულა); 6) ნიკა ტილიშვილი და ალექსანდრე ისაკაძე; 7. ვასილ კოშკელაშვილი (ნავთლუღელი) და ისაკა მთიულლი; 8. თედო კაკაშვილი და კუტუა ნავთლუღელი; 9. არტემ ყირიმელი (გლდანელის ძმის შვილი) და გიორგა ხალიანი (კახელი).

**გარდა ამისა იჭიდავებენ ჭიდაობის მოყვარულნიც.**

**ანონსი:** რომელიც გამოწერილი იყო როსტოვიდან გამოჩენილი ფალავანი ყოველ მხრივ ჭიდაობაში **კარო ზამუკოვი.** მოველით ამ დღეებში, რომლისაგანაც წერილი მივიღეთ და იჭიდავებს კავკასიის გამოჩენილ ფალავნებთან (კავკასიურად).

**ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი.**

ადგილების ფასი: ლოჟა 4 მ., 1-ლი რიგი 80 კ., 2—60 კ., 3 და 4—50 კ., გალერეია 30 კ. დასაწყისი საღამოს 51/2 საათზე. ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.** (1—350—1)

**რადგან პირველ კრებას წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, ამის გამო**

## შავი-ქვის ამხანაგობის კრება

დანიშნულია ხელ-მეორედ კვირას, 8 აგვისტოს, ჭიათურის თეატრში დილის 10 საათზედ. ამ კრებას რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, კანონიერია. (3—1)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—115)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—173

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი**

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—31)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გირიჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^{1/2}$—61/2 საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი მ. ს. არჯევანიძე**

ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიო. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგოილოვისა. (25—კვ.—14)

**კვირეული ჟურნალი**

## თეატრი და ცხოვრება

**მოიკითხეთ** კავკასიის რკინის გზათა წიგნის შკაფებში და მეგაზეთებთან. ფასი ყველგან **ორი შაური.** (5—4)

მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი **ხვირისა** და **კახური** ღვინოები

ჩაჩიბაიასი

იყიდება ყველა **გასტრონომიულ** მაღაზიებში და **სასტუმრო-რესტორანებში.**

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.

პატივისცემით **ჩაჩიბაია.** (20—გაგ.—19)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივლისი.

**საზღვარ-გარეთ.**

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის გარეშე საქმეთა უწყებამ სრული კმაყოფილება გამოსთქვა ამერიკის გადაწყვეტილების შესახებ ლიბერიის გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოყვანის შესახებ.

**მადრიდი.** სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებს ებრძანათ, არ შეუშვან სან-სებასტიანში ის პირნი, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს 25 ივლისს განზრახულ მანიფესტაციაში.

**ტრომსე.** გემი „მაინცი" ცეპელინის ექსპედიციაში მონაწილეებთან ერთად 19 ივლისს კინგსბეიდან ჩრდილოეთისაკენ გაემართა: ექსპედიციას განზრახვა აქვს გემ „ფენიქსით" ჩრდილოეთის პოლიარულ ყინულის საზღვარს მიაღწიოს, შემდეგ ჰაეროსტატებით აფრინდნენ და 2 აგვისტოს ტრომსეში დაბრუნდნენ.

**ბერლინი.** „ლოკალ ანცეიგერს" ტრომსიდან ატყობინებენ, პრინცმა ჰენრიხმა არა ერთხელა სთქვა, რომ ექსპედიციას განზრახვა არა აქვს ჩრდილოეთის პოლიუსამდე დირიჟაბლით მიფრინდეს. ამ მიზნისათვის საჭიროა უფრო საიმედო მანქანები, ექსპედიციას აზრად აქვს მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს პოლიარულ ყინულის საზღვარი, რომ გამოიკვლიოს, შეიძლება თუ არა 5-10-15 წლის შემდეგ დირიჟაბლით გაემართონ ჩრდილოეთის პოლიუსისაკენ.

**თეირანი.** მინისტრთა კაბინეტმა თავად ვალბულსკის მონაწილეობით ითათბირა საყოველთაოდ იარაღის აყრის შესახებ ფიდაებმა გამართეს მიტინგი ათაბეგის ბაღში და გადასწყვიტეს წინააღმდეგობა აღმოუჩინონ მთავრობას. სათარ-ხანი, ბაგირ-ხანი, სარდარ-მუხი, და ზერღამ-სალთანე უარს ამბობენ იარაღის აყრაზე. ამათ განაცხადეს, რომ მთავრობას განზრახვა აქვს, იარაღი აჰყაროს ტაგი-ზადეს მომხრეებს და ამავე დროს იარაღის ტარების ნება დართოს საიდარხანის ბრბოს, რომელზედაც დიდი ეჭვი აქვთ სეიდაბდულას მოკვლაში მონაწილეობა მიიღო. მთავრობა არ ჩქარობს ზომების მიღებას. თეირანი სავსეა შეიარაღებულ ფიდაებითა და ბახტიარებით.

**თეირანი.** გამოქვეყნებულია მთავრობის ბრძანება, სადაც ნათქვამია, ვინც განსაზღვრულ ფასად არ ჩააბარებს იარაღს დანიშნულ ადგილას, იმას ძალით აეყრება იარაღიო. ჯიუტები დაისჯებიან, წინააღმდეგობას ვინც გასწევს დახვრეტავენ და იმათ სახლებს ზარბაზნებით დაანგრევენო. დანიშნულია ჯილდო ვინც მიუთითებს, რომელ სახლშიც იარაღი ინახება.

**სტამბოლი.** უსკიუბის დეპუტატმა პავლოვმა გამოაქვეყნა პროტესტი, რომელიც გამოუცხადა დიდს ვეზირს მაკედონელ ბოლგარების იარაღის აყრის დროს სისასტიკის გამოჩენის გამო. ჩამოთვლილია 18 სოფელი, სადაც აუწიოკებიათ ბოლგარიის მცხოვრებნი. პავლოვი თხოულობს დამნაშავეთა დასჯას.

**რუსეთი**

**პოლტავა.** პრეისლავის მაზრაში დიდმა ქარმა, წვიმამ და სეტყვამ გაანადგურა შენობები და ხეები. დაექცია რამდენიმე ქარის წისქვილი. წისქვილის ნატეხმა მოჰკლა ერთი გლეხი. ზარალი 50.000 მანეთს უდრის.

**ბობროვი.** მეხისგან დაიწვა 27 სახლი სევერტოვის სოფელში.

**რიგა.** ოლქის სასამართლოს სესია შეუდგა ეგრედ წოდებულ ფრაუენბურგის რევოლუციის საქმის გარჩევას. ბრალსა სდებენ 227 კაცს, მოწმებად გამოწვეულია 645 კაცი. ილავს 15 ვექილი.

**კიევი.** საგუბერნიო ერობამ დაადგინა მოაწყოს 44 საერობო სკოლაში სახალხო კითხვები მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

**სიმფეროპოლი.** სამხრეთ გზების ადმინისტრაციამ შემოიღო ვაგონების დატვირთვა პაჯიმართა მიერ.

**ტვერი.** 22 ივლისს საგუბერნიო ერობის საავადმყოფოში რევიზიის დროს ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა ბევრი შენობა. მთავარი შენობა საავადმყოფოში უვნებლად გადარჩა. ზარალი 150.000 მანეთია. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არაა გამორკვეული. გამოძიებას შეუდგნენ.

**უფა.** რამდენიმე სოფელში დიდი ცეცხლი გაჩნდა. განადგურებულია 300 სახლ კარი და საქონელი. ზარალი 150.000 მანეთს აღემატება.

**სევასტოპოლი.** ნავმიან ტრანსპორტ „დუნაიზე" ცეცხლი გაჩნდა, წინა ნაწილი წყალში ჩაუშვეს რის გამოც ცეცხლი ველარ გადავიდა სადაც ასაფეთქებელი ნივთიერება ელაგა.

**ოდესა.** საადმირალოს და რუსეთის საზოგადოების ქვაბების ამგებმა მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს. მიზეზი ისაა, რომ ადმინისტრაციამ მოითხოვა ღამის მუშაობაც ისეთივე პირობით უნდა სწარმოებდეს, როგორც დღის სამუშაო.

ორი დღის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა შავი ჭირით ავად გახდომისა. დღეს აღმოჩნდა საეჭვო ავადმყოფი.

**ეკატერინოსლავი.** უსვას სადგურიდან 4 ვერსის სიშორეზე, პერმის გზაზე, ლუნევის ოლქში, დემითოვმა აღმოაჩინა ქვანახშირი. ეს აღმოჩენა გააუმჯობესებს ქვემო ტაგილის ქარხნების მდგომარეობას და გააფართოვებს სპილენძის წარმოებას.

**ნიკოლაევი.** შაპირის აფთიაქის საწყობში მოხდა აფეთქება, დაიღუპა აფთიაქის მოწაფე.

**ხოლერა**

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 97, გარდაიცვალა 21 კაცი, მორჩა 19, ავად არის 672. ქალაქის ახლო სოფლებში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, ავად არის 21 კაცი.

ხოლერის შესახებ შემდეგ ცნობებს იტყობინებიან: ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა ეკატერინოსლავში 22, გარდაიცვალა 10, მორჩა 5, პოლტავაში ავად გახდა 242, გარდაიცვალა 105, მოსკოვში ერთი დღის განმავლობაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, კრონშტატში ხოლერა გაძლიერდა, ამის გამო აკრძალეს ხიდის კარ და კარ დატარება.

ერობამ მიიღო ცნობა რომ 45 ადგილში იჩინა თავი ხოლერამ. გაიგზავნა ექიმები და ფერშლები. მაზრის სასანიტარო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა დაიკეტოს ყველა არყის დუქნები იმ ადგილებში, სადაც ხოლერა მძვინვარებს.

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

**ხოლერა.** 23 ივლისს ხოლერით ავათ გახდნენ და ხოლერიანთა ბარაკში გაიგზავნენ: 1) დიდ და პატარა ვანქის ქუჩის კუთხეში. იპოვნეს ქუჩაზე დაგდებული ქ. პეტრ-

ბურგის მოქალაქე კ. გ. დუნაევი 2) თომას ქუჩაზე ქ. გორის მოქალაქე ქალი ტ. არაქელოვისა 3) ფაბრიკის ყრუ შესახვევში სპარსეთის ქვეშევრდომი მაჰმადი იბრაჰიმ ხალილ ოღლი. 4) ყარაბეგოვის ქუჩაზე სიღნაღის მცხოვრები გ. სარქისოვის 6 წლის შვილი 5) ტფილისის მოქალაქის არსენ გეტიაშვილის 4 წლის შვილი 6) ავჭალის ქუჩაზე ოსტროგოვის მაზრის მცხოვრები ა. კრივონოსოვი (გარდაიცვალა) და 7) წყნეთის ქუჩაზე სპარსეთის ქვეშევრდომი ჯამან ყარა რიზა. ყველა ავათმყოფების ბინებს დეზინფექცია უყვეს.

სასანიტარო ინსპექციის ცნობებით 23 ივლისს დილის ცხრა საათიდან 24 ივლისის დილის ცხრა საათამდე ხოლერით ავათ გახდა 7, ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. ამ დღემდე ხოლერიანთა ბარაკში ირიცხებოდა 46 კაცი მიემატა 5, გამოეწერა ერთი, მოკვდა 1 კაცი. ამ ჟამად ბარაკში ირიცხება 49 კაცი.

**უეცარი სიკვდილი.** 23 ივლისს შუაღამის 12 საათზე სასტუმრო „ვოსტოკში“ უეცრად გარდაიცვალა ამ დღეებში ტფილისში ჩამოსული სოფელ კარახანის (ყარსის ოლქშია) მცხოვრები ყაზარ მარკარიანცი. მიცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

**უგულო დედა.** 23 ივლისს, ღამის 12 საათზე, კიროჩნის ქუჩაზე მორიგ პოლიციელმა № 52 სახლთან დააპატიმრა სარატოვის გუბერნიის მცხოვრები ქალი ივდითი გლადკოვისა, რომელსაც ამ სახლის კარებთან თავისი საკუთარი ოცი დღის პატარა ქალის მიგდება სურდა.

**მცირე წლოვან ქურდის შეპყრობა.** მუშტაიდის ბაღის მახლობლად პოლიციამ 21 ივლისს შეიპყრო ბავშვი პ. დ. ბოლტინი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ოცდა თევქსმეტი თითო თუმნიანი ქაღალდის ფული, ერთი ოქროს ხუთთუმნიანი ოქროს საათი და ბეჭდები. შეპყრობილი საპოლიციო უბანში წაიყვანეს და ჩვენება ჩამოართვეს. რამდენიმე ჯერ შეკითხვის და დატუქსვის შემდეგ პატარა ქურდი გამოტყდა, რომ ეს ფული და ნივთები 22 ივლიისს განჯის სამაზრო სამმართველოს მდივანს პოპოვს მოჰპარა. პოლიცია შეეკითხა პოპოვს და იმანაც დაადასტურა პატარა ქურდის ჩვენება. პ. ბოლტინი პოპოვთან მოსამსახურეთ ყოფილა და 22 ივლისს მოუპარავს საფულე 540 მანეთით და გაპარულა.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 23 ივლისს პოლიციამ ჩხრეკის დროს დააპატიმრა მეორე საპოლიციო უბანში 13, მექვსეში 1, და მეთორმეტეში 4 უპასპორტო.

**ბიბლიოთეკა სოფლად.** სოფელ კორტანეთში (გორის მაზრა) მყოფთ ინტელიგენტებს გადაუწყვეტიათ სთხოვონ ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას გახსნას ამ სოფელში უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო.

**ხოლერა.** ერთი თვის განმავლობაში, 21 ივნისიდან — 21 ივლისამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 385, მათ შორის 89 სახლში ირჩენდა თავს, ხოლო 296—ხოლერიანთა ბარაკებში. ავადმყოფთა რიცხვი ქალაქის სხვა და სხვა უბანს შორის ასეა განაწილებული: 1 უბანში ავად გახდა 25, მე 2-ში—19, მე-3-ში—19, მე-4 ში—25, მე-5-ში—50, მე-6,—28, მე-7-ში—29, მე-8-ში—38, 9-ში—58, მე-10-ში—32, მე 11-ში—26, და მე-12-ში—21, ამას გარდა ახლო სოფლებიდან მოიყვანეს 19 ავადმყოფი.

**ხის ხიდი.** ქალაქის 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვის გასავალში შეტანილი იქნება 8,000 მან. ამ ფულით უნდა ააშენონ ხის ხიდი მტკვარზე სატეხნიკო ქუჩისა და ქალაქის აბანოს შესაერთებლად. ხიდს ააშენებენ ინჟენერ კოგნევიცკის პროექტით.

**თავის მოკვლა.** სიღნაღში თავი მოიკლა ცნობილმა მდიდარმა ც. ამირხანოვმა. ამირხანოვი ხნში შესული კაცი იყო და დიდი გავლენაც ჰქონდა იქაურ საზოგადოებაზე. საღამოთი ამირხანოვი თავის ცოლით ყოფილა საზოგადო საკრებულოში, სადაც ჩვეულებრივ ბანქოსა თამაშობდა ხოლმე. დილით ჩვეულებრივზე ადრე ამდგარა, ტანთ ჩაუცვამს და ეზოში გასულა. აუღია რევოლვერი და გულში დაუხლია. მკვლელობის მიზეზათ სხვათა შორის იმას ასახელებენ, რომ ვიღაცას მოუპარავს ყუთი, რომელშიც ამირხანოვს ჰქონია შენახული დიდძალი ვექსილები.

**სკოლა სოხუმში.** ქუთაისის გუბერნიის სახალო სკოლების დირექტორმა ნება დართო ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობას სკოლის გახსნისა ქ. სოხუმში. სკოლა გაიხსნება 1 ენკენისთვიდან. მასწავლებლად გადაყვანილია ძველი სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი ნიკო ჯანაშია.

**„თეატრი და ცხოვრება“.** გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი (29) ნომერი, შერჩეული მასალით შედგენილი. ამ ნომერში დაბეჭდილია:

„კიდევ ავტორთა ჯილდო“ მეთაური; „ამონაკვნესი“, ლექსი ს. აბაშელისა; „ჩემი შენიშვნები“, (5) შალვა დადიანისა; „ღამე“, ლექსი ნ. ჩხიკვაძისა; „ვიქტორ ჰიუგო“, (პ. კოგანი), პეტრე დადვაძისა; „მოგონება“, (ია იაშვილის ხსოვნას), ნარკანისა; „მე და ისინი“, ვანო ბარველისა; „ღია წერილი“, ნ. შიუკაშვილისა; „საბედისწერო დამბაჩა“, დრ. ტრ. რამიშვილისა, (დასასრული); „ბედი, პირშავო“, გ. ფოცხოველისა; „თამაშობა თუ ცხოვრება“, (დიქცია), გიორგი ჯაბადარისა; სათეატრო ამბები, სურათები გ. ი. გაბაშვილისა, ვიქტორ ჰიუგოსი და სხვ. ამავე ნომერში დაბეჭდილია ექიმ ალამალოვის მკვლელების სურათი და მოკლე ცნობები ამ საქმის შესახებ.

# ცრუმორწმუნოებასთან ბრძოლა

არას დროს ისე თვალსაჩინო არაა ხოლმე ხალხში ღრმად გამდგარი ცრუმორწმუნოება, როგორც მაშინ, როდესაც რამე საშინელი უბედურება ეწვევა ხალხს, თავზარსა სცემს, მის ჩვეულებრივ ცხოვრებას არღვევს და დიდს ზარალს აყენებს. ვინც ქართულ გაზეთებს თვალ-ყურს ადევნებს და კერძოდ ვისაც წაუკითხავს „სახ. გაზეთში“ დაბეჭდილი მოწერილი ამბები,—ეცოდინება, თუ რა საშინელებაა სოფლად, როგორი ცრუმორწმუნოებაა ხალხის ძვალსა და რბილში გამჯდარი.

ს. უდეს (ახალც. მაზრა) ხოლერამ იჩინა თავი და ხალხი სასოწარკვეთილებას მიცემული, ღვთის ანაბარად მიტოვებული გაეშურა ივლიტას ტაძრისაკენ, გამოასვენა ღვთისმშობლის ხატი და მის წინაშე მუხლ მოყრილი მუდარით შესთხოვდა: „ღვთისმშობელო, შენი მხევლები ვართ, დაგვიხსენ ამ სენისაგანაო“. ასევე იყო ქართლის სხვა ადგილებშიაც. ქვემო ჭალაში მღვდელი უკითხავდა წიგნს, სადაც დარიგება იყო, თუ როგორ უნდა მოუაროს ხალხმა თავს ხოლერობის დროს, მაგრამ ამ სასარგებლო. საუბრის დროს გადმოვარდა ერთი ქალი, დაეცა ქადაგად, ათას სისულელეს გაიძახოდა. ხალხმა ზურგი აბრუნა მღვდლის საუბარს და ქადაგად დაცემულს მიუბრუნდა, იმის სიტყვები უფრო სარწმუნოდ და სასარგებლოდ მიიჩნია.

ასეთივე ცრუმორწმუნოება აშკარავდება ხოლმე გვალვისა და დიდი სეტყვის დროს. იმის მაგივრად, რომ სოფელმა იზრუნოს ხელოვნურად მორწყოს ხოლმე მინდორ-ბაღები— დედაკაცები სოფელ-სოფელ ფეხშიშველა დადიან და ბოლოს მდინარეში ჯუთანს გაატარებენ, თითონ შიგ შეებმევიან და შეჰღაღადებენ, ნამი გადმოგვიგდეო და სხვ. მაგრამ ცრუმორწმუნოებასთან ერთად ბევრი სხვა ცუდი ჩვეულებაც არის გავრცელებული ხალხში. მაგ. სისხლის აღება. ეს ჩვეულება წინად ძლიერ იყო გავრცელებული. საბედნიეროდ ეხლა ზოგიერთ მიყრუებულ ადგილებში თუ შეხვდებით, მაგრამ ერთი წარმოდგენაც კი, რომ ასეთ ადამიანის დამამცირებელ ჩვეულებას ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში —საშინელს ჟრუანტელს გვგვრის ტანში. ერთი მოძმე მეორესა ჰკლავს იმიტომ, რომ იმისმა ძმამ უცაბედად, ვსთქვათ ნასმობის დროს, მოჰკლა იმის ნათესავი ან ძმა. საშინელებაა, მაგრამ აბა მოიგონეთ, რასა სწერდა თიანეთიდან „სახ.გაზ.“ კორესპონდენტი: სოფელს საყარაულოში ლოთობის დროს ჩხუბი მოსვლია ღვთისო ჩაჩურაშვილსა და გიორგი ლაჭერაშვილს. გასაშველებლად სხვათა შორის ჩარეულა ხევსური ბერდია არაბული, რომლისთვისაც ღვთისო ჩაჩანაშვილს, ლაჭერაშვილისათვის მოღერებული ხანჯალი უტაკებია მუცელში და სასიკვდილოდ დაუჭრია. დაჭრილ ბერდიას ხევსურები მოუვიდნენ და აი რას ეუბნევიან, რა სიტყვებით ეხოვებიან თავიანთ საყვარელ მეგობარს და მოძმეს: „ჩემო შანშო (ბიძაშვილია ხევსურულად) ნეტავ ხევსურს მაინც მოეკალ, კაც მაინც ყოფილიყო და ხევსურული წესი მომეთხოვნა; ახლა რაღა ვქნა, ამას კი ვიქ რო, ათს მაინც მოუკლავ შენი მკვლელის გორსს (გვარს) და ავინაზღაურებ შენს სისხლს, დე ისევ რუსებმა დამსაჯონ და მათ კი შენს სისხლს ერთი ათად გადავახდევინებო“.

აი, რას აწვეთებდნენ ყურში ბერდიას, რით ასიამოვნებდნენ საუკუნოდ გამოსათხოვებლად გამზადებულს ერთი-ათად ავიღებთ სისხლსა და რუსის კანონმაც რომ დაგვსაჯოს, არაფერიო. იმასაც სჩიოდნენ—კაცს მაინც მოეკალი, ხევსურს, რომ სისხლი მოგვეთხოვა ჩვეულებისამებრაო. ყველა დაგვეთანხმება, რომ საშინელი ჩვეულებაა, საშინელი სენი. ეს დაპირება სისრულეშიც რომ ვერ იქმნას მოყვანილი გარეგანი პირობების გამო, გულში ღვარძლი დიდ ხანს ისადგურებს და ორი მეზობელი და ნათესავი საუკუნოდ ერთი-მეორის მტერი ხდება. არავითარ დახმარებაზე, მეზობლობაზე და საზოგადოებრიობაზე ვერ ილაპარაკებ თამამად, როდესაც ასეთ დრო-მოჭმულ ჩვეულებას, მაგრამ საშინელს სინამდვილეს თვალებში უყურებ. საჭიროა ბრძოლა ამ საშინელებასთან, საჭიროა მეცადინეობა ცრუმორწმუნოების აღმოსაფხვრელად. პირველად არ ვლაპარაკობთ ამ საშინელების შესახებ, მარტო დღეს არ მოვუწოდებთ ცრუმორწმუნოებასა და ადამიანის დამამცირებელ ჩვეულებებთან გასამკლავებლად. არა, წინადაც ბევრს უთქვამს, მაგრამ როდესაც ასეთის სინამდვილით თავს იჩენს ხოლმე ეს ცუდი ჩვეულებანი, უნდა კვლავ ვილაპარაკოთ და ვილონოთ რამე.

პრინციპიალურად, რასაკვირველია, ბევრ რამე კეთილს ვუსურვებდი, მაგრამ კითხვის ასეთი გადაწყვეტა მალამოდ ვერ დაედება უვიცობითა და გაჭირვებით შეპყრობილ ხალხს: ასე ხელ-და-ხელაც ვერავინ აღმოუჩენს რამე წამალს, რომ ერთბაშად განიკურნოს ხალხი ამ სენისაგან. ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ერთ-ერთ საშუალებაზე ვუჩვენოთ, რომლის განხორციელებაც დღევანდელ პირობებშიც შესაძლოა და არც ბევრს დროს მოითხოვს მისი სისრულეში მოყვანა. სწავლა-განათლება და ხალხის ფართო წრეებში ცოდნის შეტანა—აი საშუალება ცრუმორწმუნოებასთან საბრძოლველად.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს სკოლების გახსნა წერა-კითხვის საზოგადოების მიერ საქართველოს იმ მიყრუებულ კუთხეებში, რომელნიც სწავლა-განათლების მხრივ თავ მინებებული არიან, როგორც თვით საზოგადოებისაგან, ისე მთავრობისაგანაც.

წერა-კითხვის საზოგადოება აქნობამდის სულ ერთგვარ პოლიტიკას აწარმოებს, იგი თითქმის მთელი ყურადღებას საქართველოს განაპირა მხარეებს აქცევს და შუა-გულს კი, საიდანაც სდგება საზოგადოების მთელი ზნეობრივი და გონებრივი ძალა, თავ-მინებებულია.

დრო არის ასეთ ცალმხრივ პოლიტიკას თავი მიანებოს და თუ განაპირა მხარეებზედ მეტი არა—იმდენივე ყურადღება მაინც მიაქციოს საქართველოს იმ ნაწილებს, რომელზედაც არის დამოკიდებული ყველა-ფერი ქართული: ენა, ზნე-ჩვეულება და ყოველგვარი იდეიური და ფიზიკური ძლიერება. თუ გულს არ გაუფრთხილდით, თუ მასში შესწყდა ეროვნულ სულის ტრიალი, თუ იგი ჩამორჩება სინათლეს, კულტურას, მაშინ განაპირა მხარეებიც თავის თავად დაჰკარგავენ მნიშვნელობას.

ისეთ მიყრუებულ მხარში, როგორიც ფშავ-ხევსურეთია, განა მარტო სკოლას აქვს მნიშვნელობა, რომელიც ემსახურება მხოლოდ მომავალ თაობას, არამედ განათლებულ ადამიანის, მასწავლებლის ყოფნასაც, რომელიც სკოლაში ასწავლის პატარებს და სკოლის გარედ კი—დიდებს, სრულწლოვანთ.

ჩვენ გლეხ-კაცობას [illegible] თვისება აქვს, იგი ყოველთვის ნდობით უცქერის მასწავლებელს და ყოველ გაჭირვების დროს მას მიმართავს ხოლმე რჩევის მისაღებად. ასეთ პირობებში ცხადია დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან როგორც სკოლას, ისე თვით მასწავლებელსაც, როგორც განათლებულ ადამიანს მიყრუებულ მხარეში.

ს. ლ.

# ოფიციალური ცნობანი

## ექ. ალამალოვის მკვლელობაზე

რადგან ამ უცნაურმა მკვლელობამ ყველა დაინტერესა, ამიტომ ვბეჭდავთ ზოგიერთ ოფიციალურ ცნობებს ამის შესახებ.

ალამალოვის მკვლელი არშაკ მარტიროზოვი 14 ივლისს დილის 11 საათზე წასულა ექიმ მელიქ-ადამოვთან და უთხოვნია ცოლიან წამჭლოდა, რომელსაც ვითომ კუჭი სტკიოდა. მელიქ-ადამოვი წაჰყა, ნახა, „ავათმყოფი“ თამარი, გამოუწერა წამალი და დაბრუნდა ისევ სახლში. ნახევარი საათის შემდეგ მარტიროზოვს მიუყვანია ექიმი ალამალოვი. ალამალოვს აზრადაც არ მოსვლია, რაიმე ეჭვი შეეტანა მარტიროზოვის მოქმედებაში, გაუშინჯნია ლოგინათ მწოლიარე „ავადმყოფი“ თამარი და დაჯდარა რეცეპტის დასაწერად, ამ დროს მიახლოვებია მარტიროზოვი და საფეთქელში რევოლვერი დაუხლია. ალამალოვი იმ წამსვე მომკვდარა. აღელვებული თამარი თურმე გარედ გამოვარდა და ოთახის წინ დარაჯობა დაიწყო, რომ არავინ შესულიყო ოთახში! არშაკ მარტიროზოვი კი შეუდგა ალამალოვის გვამის აკუწვას და კალათში ჩაწყობას, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, არშაკ მარტიროზოვი გაფითრებული გარეთ გამოვარდნილა და ცოლისთვის უთქვამს: „ჩქარა, ტანთ ჩაიცვი! თამარმა შენიშნა რომ ქმარს მარცხენა ხელი გასისხლიანებული ჰქონდა, და უკითხავს—„რა მოგივიდაო“, მას მიუგია: „ნუ მეკითხები, მერე გეტყვიო“ და კვლავ აჩქარებდა თამარს ტანთ ჩაეცვა. აღმოჩნდა, რომ ალამალოვის გვამის აკუწვის დროს მარტიროზოვს მარცხენა ხელი გასჭრია ისე მძიმედ, რომ აღარ შეეძლო მისი ხმარება. ამის შემდეგ იმათ გადაუწყვეტიათ ოთახი მიეტოვებინათ.

---

# ჩონგურს

მეგობარი მე არა მყავს,
და არცოდეს მეყოლება,
რადგან ფული მე არა მაქვს;
რომ ვიყიდო მეგობრობა!
იმათ ნაცვლად ჩონგური მაქვს,
ნაპოვნია ცრემლის ველზე,
და მოცილეც სხვა არა მყავს,
მე ვეხვევი მხოლოდ ყელზე!
მას არ გავცვლი კბილ-მოთეთრო
და გულშავა მეგობრებზე.
არც ღმერთების სამოთხეზე,
არც ჩემ სატრფო-საყვარელზე!
ცრემლის ტალღას ის მოჰქონდა,
მე ზვირთებში მივიბრძოდი,
ქარიშხალი მედგრათ მცემდა,
ვიღუპოდი, ვიღრჩობოდი;
მაშინ იმას ვტაცე ხელი,
ის მოუსვი საჭეთ ზღვასა
და იმ დღიდან აქამომდე
დავმეგობრდი მხოლოდ მასა!
მისთვის სიმი გულს ჩამოვჭერ
და ოცნების ვარდზე წკირა.
იმა დღიდან აქამომდე
ისიც ჩემთან გაიწირა!
მაშ შენ, ჩემო მეგობარო,
უსყიდველო, უანგარო,
მხოლოდ შენ ერთს მინდა დღესაც
სიიდუმლო მოგაბარო.
ყური მიგდე გლოვის სიმო:
როს სამშობლოს გავეცალო,
მივატოვო მისი ზღუდე,
უცხო მხარეს ვიტანტალო;
ეს საუნჯე შემინახე,
მით სულდგმულობს ჩემი გული:
შენ გებაროს აღმზრდელ ძუძუს
მშობელ ქვეყნის სიყვარული!
შენს სიმებში ჩაახლართე
მის მთა, ჭალა, ტყე, მინდორი,
შენ დაგკოცნი იმის ნაცვლად,
თუ მომინდა მის ამბორი!
შენს ჰანგებში ჩააქსოვე
ლამაზ მონის მწარე კვნესა,
და თუ მინდა მას ვუსმინო
შენს სიმებზე დავკრავ ხელსა!
თან ატარე შხამ-ნაღველიც,
გველთ სისინი, ბრბოს განგაში...
ესეც იქვე მოძღვნილია
მწარე ბრძოლის ქარიშხალში!
შავბედი კი თავისთავად
ვიცი, რო თან წამოგვყვება:
მიდის გემი—ყორანი კი
იალქანზე იყეფება!
ასე, ჩემო მეგობარო,
უსყიდველო, უანგარო,
როგორც წინად—დღესაც ჩემი
ოხვრა უნდა მოგაბარო.
მეგობარი მე სხვა არ მყავს
და არცოდეს მეყოლება,
რადგან ფული მე არა მაქვს,
რომ ვიყიდო მეგობრობა!
ან რათ მინდა: შენ ჩემი ხარ
და გზა ჩვენი ერთი არი,
დღესაც ერთად მივატოვოთ
სამშობლო და მის საზღვარი!

ი. ევდოშვილი.

# ცხოვრება და ხელოვნება

**აზრი თუ ფორმა, შინაარსი თუ სხეული.**

(ნაწყვეტი „ესტეტიკისა“)

„ხელოვნების უდიდესი ნაწარმოები სხვა არა არის რა. თუ არ უდიდესი აზრი გამოთქმული თვით უფრო გრძნობიერის ენით“. გიუო.

1

დღემდის გაუთავებელი სჯა-ბაასია და კამათი იმის შესახებ—თუ რა მოეთხოვება ხელოვნურ ნაწარმოებს? საკმაოა თუ არა ლიტერატურულის ნაწარმოებისათვის მარტო გარეგანი სიმშვენიერე, მარტო ფორმა და ამის მიხედვით უნდა დაფასდეს სიტყვა-კაზმული მწერლობა, თუ ფორმას, გარეგან მხარეს ლიტერატურულის ნაწარმოებისას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც შინაარსსა, აზრსა, ნაწარმოების მიმართულებასა და ტენდენციასა. ამ გვარს დავას იმ საზოგადოებაში უფრო მაგრადა აქვს ფეხი გადგმული, სადაც კულტურა ეგრე მაღლად არ არის განვითარებული და სადაც პოლიტიკური ფორმები იმ ბარბაროსულ ხანას ვერ გადასცილებიან, როცა ერთი თავ-აშვებული ვიგინდარა და მისი ამალა, რამოდენიმე ათიოდე კაცისაგან შემდგარი, ფეხ ქვეშ სთელავს მთელის საზოგადოების ყოველ გვარ უფლებასა. დამერწმუნებით, იმ გვარ წეს-წყობილებაში, სადაც ურეგლამენტოდ სული ვერ დაგიბერავს, სადაც მოქალაქეთა ძილი და მოსვენება ყოველ წუთში განსაცდელშია, ასეთს მხარეში დაწყნარებული მსჯელობა და მშვიდად განხილვა ამა თუ იმ საგნისა ყოვლად მოუხერხებელია. აქ ყოველი ფიქრი, ზრახვა, წადილი და მისწრაფება ადამიანისა ერთის რისამესკენ მიილტვის: შექმნას ისეთი სოციალური და პოლიტიკური პირობები, რომ თავისუფლად შეეძლოს ჰაერის სუნთქვა; დაამსხვრიოს საუკუნოებისაგან გაჭედილი რკინის ბორკილები და ხელები განითავისუფლოს ლუკმა-პურის პირში ჩასადებად. მაგრამ რაც არ უნდა სთქვათ ესეთი ხანა გარდამავალია, ამგვარს წესწყობილებას სიკვდილისა და განხრწნილების თესლი თან დააქვს და ადრე იქმნება თუ გვიან მძლის სული თავს იჩენს, ამიტომაც დროებით გარემოებისაგან გამოწვეულ განწყობილებას სულისა და გონების და ამ განწყობილებისაგან გამოწვეულ აზრებს ჭეშმარიტების ქვა-კუთხედად ვერ ალვიარებთ და მის დროებით ხასიათს საუკუნო მნიშვნელობას ვერ მივსცემთ. გავარჩიოთ ორი ზემო-მოყვანილი დებულება ლიტერატურულის ნაწარმოების შესახებ.

პირველი უპირატესობას, თითქმის მთავარ და ერთად ერთს მნიშვნელობას სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ნაწარმოების ფორმას უთმობს. მაშასადამე შესაძლებელია მათის წარმოდგენით ნაწარმოები—ლექსია იგი სალირიკო, თუ დრამა გინდ ტრაგედია, რომანი თუ მოთხრობა უშინაარსო იყოს, უაზრო და უსულო. ეს ყოვლად შეუძლებელია. უაზრო პოეზია, უშინაარსო ბელლეტრისტიული ნაწარმოები—თვით ეს სიტყვები მოკლებულნი არიან ყოველივე აზრსა. მართლაცა და ამისი თქმა იმასა ჰგავს, რომ აიჩემოთ, უთავო კაცი მინახავსო და ეს „უთავო“ პირდაპირის მნიშვნელობით გაიგოთ; ან და სთქვათ, უგულო ადამიანიო და უგულოს ანატომიური მნიშვნელობა მისცეთ. კიდევ მეტი უაზრო პოეზია ისეთივე უაზრო და სასაცილო სიტყვაა, როგორც უმარილო ზღვა, გინდ უმცენარეო ტყე, გინდ უჟანგბადო ჰაერი. შეიძლება ესენი ყველა კაცმა სხვა აზრით იხმაროს, ხოლო არც ერთს ჭკუათა მყოფელს ადამიანს არა ჰგონია, რომ ან უთავო და უგულო ადამიანი შეიძლებოდეს იყვეს და ან უმცენარეო ტყე და უმარილო ზღვა ითქვას. ყოველივე ლიტერატურული ნაწარმოები რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი უსათუოდ აზრიანი იქმნება და შინაარსიანი. აქ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ აზრისა და შინაარსის ფასისა და ღირებულობის შესახებ. სხვა საქმეა თუ რამდენად ღრმა და ძლიერი იქნება აზრი ამა, თუ იმ ხელოვნურის ნაწარმოებისა. წარმოვიდგინოთ რომელიმე ნაყოფი ხელოვანის ნიჭისა. ავიღოთ სალირიკო ლექსი. დამისახელეთ ისეთი მწერალი, რომელიც ამ სახელის ღირსი არის, დაეწეროს რომელიმე ლექსი უაზრო და უშინაარსო. აბა იჩვენეთ ერთი ლექსი ილ. ჭავჭავაძისა, ან გრ. ორბელიანისა, რომელსაც აზრის სიღრმე აკლდეს? და ეს მწერლები იმიტომ მოვიყვანე მე, რომ ჩვენს მწერლობაში იგინი ზოგიერთ ცნობილ მწერალსაც კი აბუჩადა ჰყავთ აგდებული „ვარდ-ბულბულის“ მღერის მეტს არას აკეთებდნენ და ან ბუნების საოცარ სიმშვენიერეს გვიხატავდა (გრ. ორბელიანი) მაგრამ ეს საკმარისი როდია პოეზიისათვისაო.

თუ დააკვირდებით ლიტერატურულ ნაწარმოების ზრდასა და განვითარებას, დაინახავთ, როგორც ყოველივე ცხოვრებაში, იგიც პროგრესსის გზას ადგა, განკარგებისაკენ მიილტვოდა და თუ ფორმის სიმშვენიერე ნაკლებ იცვლებოდა და უფრო კონსერვატიული ხასიათი ჰქონდა, აზრის სიღრმე თანდათან ემატებოდა. მართალია საბერძნეთის ეპოპეისა დრამის სიდიადეს ვერ გასცილდა მშვენიერება ევროპიელთა ხელოვნებისა; მაგრამ სალირიკო პოეზია კი ბაირონისა, ჰიუგოსი, ლამარტინისა, დევინის და მიუსსეს ხელში მთელ ფილოსოფიად გარდაიქცა. დანტეს პოემა ფორმის მხრით ჰომიროსის პოემებზე იქნება ბევრად უფრო დაბლა იდგეს, აზრით კი დანტე უმაღლესს ფილოსოფოსობას იჩენს. სოფოკლისა და შექსპირის ტრაგედიები გარეგანის მხრით ერთ საფეხურზედ შეიძლება დააყენოს კაცმა, სამაგიეროდ შექსპირის ჰამლეტის ფილოსოფიას ძველი გენიოსი ვერ ძისწვდება. ჩვენი ლიტერატურიდან რომ ავიღოთ მაგალითები რუსთაველის თხზულების ფორმის სიმშვენიერე ეს ის ღვთაებრივი იდეალია, რომელსაც დღემდის ვერც ერთი ქართველი ვერ წასცილებია. არის თითქმის ყოველ ხელოვნების დარგში და ყოველ ქვეყანაში ასეთი მიუწვდომელი იდეალი, რომელიც მთელის ერის გენიოსობის შემქმნელია, ამ გენიოსობის გამომსახველი კი ერთი კაცი იყო. დღემდის ხელოვნება ქანდაკებისა ვერ წასცილებია ოლიმპიელ ჰერმესს (პრაქსიტელისას) და ვენერა მილოს (უცნობი ავტორისას), თავისს დღეში მხატვარს უჯობნებია მიქელ-ანჯელოსთვის, რომლის გენიოსობა სიქსტის კაპელის კედლებზედა და ჭერზედ არის აღბეჭდილი ამგვარია ჩვენი „ვეფხის ტყაოსანიც“, ეს არის ხელოვნური ნაწარმოები, რომლის შინაარსი და გარეგანი მხარე სრულის ჰარმონიით არის შეზავებული რომლის სიდიადე და სიმაღლე მარადის მიუწვდომელ მნათობელ ვარსკვლავად ექნება ქართველს ერსა და ლიტერატურას, მაგრამ შინაარსის მხრით ბარათაშვილის სალირიკო ლექსების სიღრმე

კვლის შემდეგ არშაკ მარტირუვს ხანჯლით თავი მოეჭრა ალალოვისთვის და კალათაში ჩაეგდო. მდეგ მოეჭრა ნახევარ ფეხი და ეულის გადაჭრაც მოინდომებინა გრამ ამ დროს ხელი გასჭრია და ნზრახვა ვეღარ მოეყვანა სისულეში.

ეს ბოროტმოქმედება აღმოაჩინეს ოლოდ 15 ივლისს ღამით. მეო დღეს მაძებარმა პოლიციამ უკვე ოდა მკვლელთა ვინაობა. პოლიციამ აგენტების საშუალებით გაიგო გრეთვე, რომ მკვლელობის შემდეგ ცოლ-ქმარი ტფილისიდან სადღაც ავიდნენ, დედ-მამას კი დაავალეს ორე დღეს მათთვის მიეტანათ სხვა სხვა ნივთები და ტანისამოსი, დგან მათ ყარსში წასვლა ჰქ ნ-თ აზრად. პოლიციამ ზომები მიო, რომ მათი მშობლები ტფილიდან არ გასულიყვნენ და შეუდგნენ მათ ძებნას. დიდი ხნის ძებნის შემდეგ სარქის და ეკატერინე მარტიროზოვები (მკვლელ მარტიროზოვის მშობლები) და შვილი მაიამი დააპატიმრეს თავის სის ბინაზე, დააპატიმრეს აგრეთვე თელეთიდან მარტიროზოვის ბიზე, ნივთების წასაღებათ მოსული ტოე. ამის შემდეგ, როგორც ცით, ცოლ-ქმარი მარტიროზოვები დააპატიმრეს თელეთში. შერობის დროს მათ განუცხადეს ოლიციას, რომ თელეთში მივიდნენ საგარაკოდ არა 14 ივლისს, ამედ—წინა ღამით, მაგრამ მათი ენება იქვე უარჰყვეს, ვინც ისინი ხა სოფელში მისვლისას. საჩვენელი თითი მარტიროზოვს შეხვეული ჰქონდა, მარცხენა ხელი ჩამოული. კითხვაზე—თუ სად დაია ხელი, მან მიუგო: ყინულის გაჭრის როს გავიჭერი დანითო; მოსთხოვეს დანის ჩვენება, მაგრამ მარტიროზოვმა უგო: დანა იქვე გადავაგდე მინდორშიო. ბინის გაჩხრეკის შემდეგ ნახეს ჭურჭელი საპნიანი წყლით, რომლითაც გაეწმინდათ სისხლიანი რანგი, პირსახოცი და სხ. საქმის მოძიებამ,—თუ რამ აიძულა არკ მარტიროზოვი ასეთი მხეცური ვლელობა ჩაედინა, გამოარკვია მდეგი:

ექიმი ც. ბ. ალამალოვი თამარ რტიროზოვს იცნობდა, როცა ის ერ კიდევ სულ პატარა იყო, ხშიად ეალერსებოდა მას და როცა წამოიზარდა, სასეირნოდ დაჰყავდა ხოლმე. სამი წლის წინად, როცა თამარა მეთოთხმეტე წელიწადში იყო, ალამალოვმა ის ერთხელ სალამოთი შეიყვანა „ფანტაზიის“ ნომრებში, ვერის დაღმართთან... შემდეგ კი ისინი ხშირად ნახულობდნენ ერთმანეთს „ვენეციის“ ნომრებში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ და სხვა ადგილებში... ამ მდგომარე წლის თებერვალში თამარი შეირთო ცოლად არშაკ მარტიროზოვმა, მარტიროზოვს თამარი ფრიად უყვარდა და შეეცადა იმის გაგებას, თუ ვისთან ჰქონდა თამარს კავშირი, სანამ მას გაჰყვებოდა ცოლად. თამარი დიდხანს არ ეუბნებოდა ქმარს საქმის ვითარებას მაგრამ მოსკოვიდან ტფილისში ჩამოსვლისას განუცხადა, ძალდატანებით გამაუპატიურა ექიმმა ალამალოვმაო. ამის შემდეგ არშაკ მარტიროზოვმა გადასწყვიტა ალამალოვის მოკვლა. თამარი ქმარს არწმუნებდა, მიყვარხარო, მაგრამ ქმარი პირობას უდებდა, თუ მართლა გიყვარვარ დამიტკიცებ, თუ ალამალოვის მოკვლაში მონაწილეობას მიიღებ და დამეხმარებიო. თამარი დაეთანხმა. ამის შემდეგ გავიდა თვე ნახევარი და მარტიროზოვმა განზრახვა სისრულეში მოიყვანა და მოჰკლა ალამალოვი.

მკვლელობის შემდეგ ცოლ-ქმარს სურდა ოსმალეთში წასვლათ, საიდანაც დაბრუნდებოდნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ალამალოვის მოკვლის საქმე მიწყნარდებოდა.

## ქართულ წიგნების გამომცემელთა საყურადღებოდ

„დიდი უმრავლესობა ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებისა პირდაპირ ზარალს იძლევა და არა მოგებასა“ო, ეწერა ერთხელ გაზეთ „დროება“-ში. მართლაც, ბევრმა დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა, მაგრამ მალე შესწყვიტა თავისი შრომა. ალბად მოგება ვერა ნახეს!.. მე კი ვფიქრობ, რომ გამოცდილი და მოხერხებული წიგნების გამომცემელი პირდაპირ გამდიდრდებოდა.

ქართული წიგნების გამოცემას ხშირად შემთხვევითი ხასიათი აქვს: ჰპეჰვდენ იმ მასალას, რომელსაც ავტორი თუ მთარგმნელი უთმობს გამომცემელს ან უფასოდ ან სულ მცირედ ფასად. გამომცემლის შრომას ძალიან ცოტად ეტყობა სისტემა.

ქართულ წიგნების გამომცემელმა უპირველეს მიზნად უნდა დაისახოს, რომ მისცეს საზოგადოებას შეძლება, შეისწავლოს ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. ამისათვის უნდა დაიბეჭდოს მწერლის ყოველი ნაწერი. მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის იძენს ამა თუ იმ მწერლის სრულ თხზულებას, ასე რომ, როდესაც მეორე გამოცემა დაიბეჭდება, იმას აღარ დასჭირდება იმისი შეძენა. ვსთქვათ, მე ვიყიდე ბ. ვაჟა-ფშაველას „ცრემლები“, მაგრამ მოვესწარი იმ დროსაც, რომ დაიბეჭდა იმისი ნაწერების სრული კრებული. „ცრემლები“ რომელი ტომი იქნება?—არც რომელი! იმაში მოთავსებული მასალა მოჰყვება სხვა და სხვა ტომში.

რომ ასე არ მოხდეს, ამიტომ წინდა-წინვე კარგად უნდა მოეწყოს საქმე: რომელი მწერლის სიცოცხლითაც ჯერ ბედნიერები ვართ, იმათი დღევანდლამდის დანაწერი უნდა დაიბეჭდოს რამდენიმე ტომად და, როცა იმდენ მასალას კიდევ დასწერენ, რომ ერთი ტომისთვის საკმაო იქნება, მაშინ კიდევ ეს ტომი დაიბეჭდოს, მაგრამ ეს ახალი ტომი ქაღალდით, შრიფტით და ფორმატით არ უნდა განსხვავდებოდეს წინად დაბეჭდილ ტომებისგან. მასალა ქრონოლოგიურად და შინაარსის მიხედვით უნდა იყოს დაბეჭდილი. არ უნდა აირიოს ერთმანეთში დიდი ხნის დაბეჭდილი და ჯერ დაუბეჭდავი ახალი ნაწარმოები, ეს იმიტომ, რომ კაცს შეეძლოს თვალ-ყური ადევნოს მწერლის თანდათანობით განვითარებას.

რომელი მწერლებიც დღეს აღარ არიან ცოცხალნი, იმათი ნაწერები მთლად უნდა შეგროვდეს და ისე დაიბეჭდოს. რედაქტორს აქ დიდი შრომა დასჭირდება, რომ უპოვნელი არ გადურჩეს მწერლის რომელიმე ნაწერი. წარმოიდგინეთ, თვით ბ. იაკობ გოგებაშვილსაც-კი ზოგიერთი თავისი წერილი უპოვნელი დარჩენია და ვერ მოუქცევია „რჩეულ პედაგოგიურ და პუბლიცისტურ ნაწერები“-ს პირველ ტომში!

ყოველი მწერლის თხზულებათა პირველ ტომს უნდა ჩაერთოს ავტორის სურათი (რასაკვირველია, თუ მოიპოვება), ბიოგრაფია და მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. აქ წინასიტყვაობას არ შეჰფერის არც მწერლის გათახსირება (როგორც ბ-მა კარიჭაშვილმა დაჰმართა განსვენებულ ალ. ყაზბეგს) და არც პოლემიკა სულ სხვა საგნებზე. ამისთვის გამოცემათა რედაქტორობა უნდა ჩაჰბარდეთ გამოცდილ სპეციალისტებს.

დაბეჭდილი წიგნი, რამდენადაც-კი შეიძლება, მოკლებული უნდა იყოს კორექტურულ შეცდომებს. ძველად დაბეჭდილ წიგნებში და მით უმეტეს ხელთნაწერებში კაცი ძნელად შეჰხვდება შეცდომებს. ახლა კი, როდესაც ბეჭდვის ტეხნიკა ბევრად უფრო გაადვილებულია, ზოგჯერ ისე ამახინჯებენ ნაწერს, რომ იქნება ავტორმაც-კი ვეღარ იცნოს. გაიხსენეთ, როგორ სჩიოდა ამის თაობაზე ბ. ვაჟაფშაველა!

რამდენი ფურცელი იქნება თითო ტომი, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ყოველი ტომი ერთნაირ ქაღალდზე უნდა იყოს დაბეჭდილი და ფორმატიც ერთი ჰქონდეს. შეძლებელ პირთა და ძვირფას გამოცემათა მოყვარულთათვის რამდენიმე ასეული ცალი უნდა იბეჭდებოდეს საუკეთესო ქაღალდზე და გამოდიოდეს გასასყიდად მშვენიერი ყდით. მართალია, გარეგნობას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ წიგნების გავრცელებას-კი მაინც ხელს შეუწყობს. მსურველთათვის იაფი გამოცემაც მკვიდრ ყდაში ჩასმული უნდა იყიდებოდეს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთანა ადგილებისათვის, სადაც არ არიან ყდის გამკეთებლები. უყდო წიგნიც კარგად უნდა იყოს აკინძული, რომ პირველსავე წაკითხვაზე არ დაიშალოს.

წიგნის გამომცემელი და მისი აგენტები გამოცდილები უნდა იყვნენ ვაჭრობის საქმეში. მაშინ დროსაც შეურჩევენ, როდის უფრო გასაღდება წიგნები.

მოვიგონოთ ორიოდე მაგალითი: მგოსნის ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების წლის თავისათვის რომ ვისმე ეთავენა და დაემზადებინა იმისი ნაწერების სრული გამოცემა და დაეწყო გასასყიდად იმის საფლავის მახლობლად და თუნდ გზაზედაც რამდენიმე ადგილს, გარწმუნებთ, მკითხველო, რომ იშვიათი პირი დაბრუნდებოდა იქიდგან სახლში ისე, რომ არ ეყიდნა განსვენებულის თხზულებები... გაიხსენეთ ჩვენი აპილპილება და დამერწმუნებით ნათქვამში.

აურაცხელი ხალხი დაესწრო განსვენებული რაფიელ ერისთავის დასაფლავებას, მაგრამ არავის ფიქრად არ მოუვიდა გასასყიდად გამოეტანა იმისი თხზულებები. განა ცოტა მოგებასა ჰნახავდა! რაც შეეხება რაფიელის ყოველი ნაწერის დაბეჭდვას, ამას, მგონია, ჩვენი შვილებიც ვერ შეესწრებიან.

ყველას კარგად ახსოვს, როგორ დიდებულად იდღესასწაულა მთელმა საქართველომ მგოსნის აკაკის იუბილეი. იმ დღეებისთვის რომ დაბეჭდილიყო ბ. აკაკის ნაწერები განა ერთი და ორი ათასი ცალი გაიყიდებოდა! იცით რა მოგახსენოთ?—ზოგსა ჰგონია აკაკის საიუბილეო კომიტეტის მიერ გამოცემული „რჩეული ლექსები“ შეადგენენ მისს საუკეთესო ნაწერებსაო.

ყველაფერზე საუკეთესო ძეგლი ჩვენი მწერლებისათვის ის იქნება, რომ ყოველ ქართველ ოჯახში მოიპოვებოდეს იმათი ნაწერების სრული კრებული.

შეიძლება მიპასუხონ, რომ წიგნების გამოცემა ბევრს ხარჯს მოითხოვს და ქართული წიგნების გამომცემელთ გაუძნელდებათ ამ ხარჯის გამოღება. ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ თუ გამომცემელს კარგადა აქვს მოწყობილი საქმე, ის ორიოდე თვეზე გაასაღებს წიგნებს და ამიტომ არც ხარჯს შეუშინდება. ამის მაგალითს გვიჩვენებენ ჩვენ ბ. იაკობ გოგებაშვილი და ამხ. „ალიონი“. პირველმა 550 გვერდიანი წიგნი („რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“) სამ აბაზად მისცა საზოგადოებას და მეორემ 1070 გვერდიანი—(„გლეხი-კაცის ისტორია“)—ერთ მანეთად. არა მგონია, რომ ამაზედ იაფად შეიძლებოდეს გაყიდვა ასე ლამაზად გამოცემული წიგნებისა.—წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისთვის ხომ უფრო ადვილი იქნებოდა წიგნების გამოცემა, რადგან მას შეუძლიან მოიხმაროს სხვა-და-სხვა მწერლების სახელზე დაარსებული ფონდის ფული.

ალ. ბარნოვი.

## მოწერილი ამბები

**ქიზიყი.** 18 ივლისს სოფელ ქვემო-მაჩხაანში, ტფილისიდან მოსულ სტუმართ თ. თ. ლევან ჯანდიერისა, მაყაშვილისა და მასწავლებელ ან. ნატროშვილის მოწოდებით ქიზიყელ მეცხვარეთა ყრილობა მოხდა. ყრილობის გახსნამდის დამსწრეთ ეცნობათ გარდაცვალება ტფილისის მოურავის გ. ნ. ხერხეულიძისა, რომლის სულის მოსახსენებლადაც გარდახდილ იქმნა პანაშვიდი.

შემდეგ ქიზიყელ მეცხვარეთ ან. ნატროშვილმა აუწყა ცხვრისა და საქონლის მომშენებელთა ამიერ კავკასიის საზოგადოების წესდების დამტკიცება და წინადადება მისცა ამ საზოგადოების წევრებად ჩაწერილიყვნენ, რათა ათასგვარ ჩარჩ—მოვაჭრეთა კლანჭებს დააღწიონ თავი. აგრეთვე დაწვრილებით და მდაბიურის ენით განუმარტეს ქიზიყელ მეცხვარეებს რა დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალ მეცხვარეთა საზოგადოებას, თუ ყველა მეცხვარე შეეგმირდება ამ საზოგადოების ფრთათა ქვეშ.

მას შემდეგ, რაც დაიდუმა ს. ქვემო-მაჩხაანის დეპოს და თ. დ. ე. ზილდოუაშვილის მიერ ჭიაურში დაარსებულ თამბაქოს საწყობს მარცხი მოუვიდა, ქიზიყელნი საზოგადოდ უნდო თვალით უყურებენ ყოველგვარ საამხანაგო, კოოპერატიულ საზოგადოების დაარსების განზრახვას. ამ შემთხვევაშიაც ქიზიყელმა მეცხვარეებმა განაცხადეს „მართალია მოგწონს მეცხვარეთა საზოგადოების მიზანი, მისი დანიშნულება, მაგრამ ვშიშობთ ეხლავე [illegible] რად ჩავეწეროთ, რადგანაც ჯერ ერთი ყველა ქიზიყის მეცხვარენი ამ ჟამად აქ არ იმყოფებიანო, მეორე ის, რომ თითქმის ყველა მეცხვარეს შემოდგომის მატყლი უკვე გაყიდული აქვს მემატყლე ჩარჩებზე და ბევრი უკვე ადებულია, ასე რომ თუ ტფილისში საწყობი გაიმართა მატყლისა, იქ მხოლოდ მომავალის წლის გაზაფხულის მატყლის მიტანა შეგვიძლიანო. ბოლოს ბევრის ახსნა-განმარტების შემდეგ მომეტებული ნაწილი ქიზიყელ მეცხვარეთა წავიდ-წამოვიდა, მხოლოდ მცირედმა ნაწილმა მოისურვა მეცხვარეთა საზოგადოების წევრობა და მოაწერეს კიდეც ხელი ამისათვის განმზადებულ ქაღალდის ფურცელს. დანარჩენებს მერე მოაწერინებენ ხელს...

დაუპატიჟებელ სტუმარს ხოლერას ისე მოუმზადებელი არავინ დახვდება, როგორც ჩვენ, ქიზიყის სოფლელნი. თუმცა სასანიტარო მზრუნველები ყველგან ამოირჩიეს, მაგრამ რას გაარიგებს სასანიტარო მზრუნველი, თუ შესაფერი და საკმაო წამლები არ ექნებათ დროზე და თვითოეულ სოფელში თითო ფერშალი მაინც არ იმყოფება, ექიმზე. რომ სულ არა გვთქვათრა.

ხოლერის საწინააღმდეგო წამლებს არ ვინაღვლიდით, ნეტავ ყოველ დღიურ, ხვეულებრივ, უბრალო ავადმყოფობის მოსარჩენი წამლები მოიძებნებოდეს ადგილობრივ, ქვემო მაჩხაანის კერძო სასოფლო ქსენოში. ექიმი ამაოდ ემუდარება სოფლის მამასახლისებს ხელერის ფულის შემოტანას წამლობის სასყიდლად, წინაღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით სამსახურს თავი დავანებოთ, მაგრამ სოფლის მოხელენი ყურსაც არ იბერტყავენ. ესენი რას დაგიდევენ სოფლელთა გაჭირვებას და ან იმას, რომ ამ დროს ექიმის სოფლიდგან წასვლა ხალხის ყელის გამოჭრაა. **X.**

**თიანეთი.** ეს ერთ კვირაზედ მეტია რაც თიანეთის მაზრასაც ეწვია ხოლერა. ჯერ პირველად ხევსურთ სოფელში გაჩნდა, მერე თოდენჯში და შემდეგ დევანაათხევზედ (ერწოს სოფლება) შიგ თიანეთში ჯერ-ჯერობით არ მოუღწევია. ხალხი შიშმა შეიპყრო. ზოგი შიშისაგან ტყეებად მუცელს

ა თუგინდ ილიას „განდეგილისა“, არც კი ჩამოუარდება რუსველის პოემის სიღრმეს. ვიმეორებ ო მიმითითებთ ისეთს ნაწარმოებდ, რომელსაც სახელი კი მოუვებია, რომ იგი აზრიანი არის, კიდევ მეტი, რომ იგი **ზნეობივი არ იყოს**. ღრმა აზრით არის სავსე უაილდის სიტყვები: „ყოვევე ხელოვნება ზნეობის წინააღმდეგიაო“. დიაღ ყოველივე ნარმოები დიდის ხელოვანისა წინაღმდეგია იმ ზნეობისა, რომელიც ფიციალურ დოგმატად არის აღიარებული და რომელსაც იცავენ არსებულის წესწყობილების დამველნი. ყოველივე მშვენიერი ნარმოები, ყოველივე ხელოვნური ნილება უსათუოდ გამოსახულებაა დის მომავლის იდეალისა, ამიტომ ვისთავად ცხადია იგი არსებულის რინციპების, რაიმენაირად უარყოფელია. თავისდღეში უაილდს ამ რაზში იმისი თქმა არ უნდოდა თქო ნაწარმოები ხელოვნურთ მსგავსთ და უშინაარსო რამ უნდა ყოსო, წინააღმდეგ მისის აზრით ეუძლებელია ხელოვნურმა, მშვენიერმა ნაწარმებმა გაცვეთილსა და ამოშებულს ზნეობას მოსარჩლეობა გაუწიოს, იგი ემსახურება მაღლეს პრინციპს, რომელიც ჯერ დევ ცხოვრებაში არც კი განხორციელებულა და ამ დიდებულის რინციპის თვალსაზრისით განსჯის ყოველივე არსებულს მოვლენასაო. მიტომაც არის იგივე მწერალი გვეუბნება, „ვინც მშვენიერს ნაწარმოებში ცუდ აზრს მონახავს, თვით ფუჭებულია, და მოკლებული ყოველგვარ მომხიბვლელობისა“. კიდევ ჩვენის ისტორიიდან ავიღოთ მაგალითი. „ვეფხის ტყაოსანი“ უდიდესის ზნეობრივის განწყობილების შექმნილია, მაგრამ იგი დევნილი იყო საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენის სამღვდელოებისაგან—ე. ი. ჩვენ ზნეობრივობის ოფიციალურ მოამაგეთაგან. გრძნობათა სიწრფელე და სიღრმე, რომელიც „აგვამაღლებს“ მათ არ მოსწონდათ, ვინაიდან ზნეობრივი შენოშა, რომელსაც იცავენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი აღგებულია სიყალბესა, გულის ამრევ ანგარიშსა და თვალთმაქცობაზედ. ბაირონი განდევნა გულხვიადმა ინგლისის უმაღლესმა საზოგადოებამ და უაილდს პირში ჩააფურთხა, პარნელი საფლავში უდროოდ ჩამარხა და შელლის ნავთსადგური უცხო ქვეყნის ზღვაში მოაძებნინა—და განა ეგენი მთელის თავისის სიცოცხლით უმაღლესის იდეალის განხორციელებას არა სცდილობდნენ. მართალია გაქსუებულმა და გარყვნილმა საზოგადოებამ მათ თავისი შემბილველელი კვალი დაასო და ზოგმა მათგანმა შეიძლება (ესეც დამტკიცებული არაა) არ მოიქცა თავისის პირადობის შესაფერისად. მაგრამ მსაჯულები ვინღა იყვნენ? „წითელ მანტიაში გამოხვეულნი კეთროვანნი“, რომელთა სუნთქვაც კი სწამლავს ჰაერს და როცა მათგანვე მოწამლულს და დაღუპულს დაინახავენ ლაფში ამოსვრიან, რათა ამითი თავისი სიწმინდე დაამტკიცონ.

არსებულის წესწყობილების დამცველს, თანამედროვე საზოგადოების „ბურჯს“ უზნეოდ მიაჩნია ყოველივე ნაწარმოები, რომელიც მისკენ შექმნილის ცხოვრების გახრწნილებას თვალწინ გადმოგიშლისთ, რომელიც უგალობს თავისუფალს ადამიანს, ყოველგვარის ბორკილებისაგან განთავისუფლებულს ბედნიერებისა და მშვენიერების მოტრფიალეს და თაყვანის მცემელს. მას სძაგს მონა მხდალი და ლაჩარი, მონა ფეხთა—მლოკველი, რომელიც ხელს არ შეახებს მის გახრწნილს გვამს, რათა მომშხამველი სუნი არ დააყენოს ქვეყანაზედა.

სიმშვენიერის თაყვანის მცემელი სიყვარულისა და მეგობრობის უდიდეს გრძნობათა მღაღადებელი, კაცის პირადობის დაუსრულებელის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსარჩლე ყოველთვის ყოფილა ყოველი დიდი მწერალი, ჰომიროსი და სოფოკლი, შექსპირი და ბაირონი, ჟან-ჟაკ-რუსო და ვიქტორ ჰიუგო, გეტე და შილერი, დანტე და მიქელ-ანჯელო, რუსთაველი, ბარათაშვილი, და ილია ჭავჭავაძე. ყოველი მათგანი ცხადად იყო ჩუმად ყოველთვის ყოველგან არსებულის გაბატონებულის სიბინძურის წინააღმდეგნი და ურიგოვნი, ამიტომაც ყოველი მათგანი დევნილი იყო სიცოცხლეში. ერის ოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ და ამათგანვე ამაღლებულნი მის შემდეგ რა იგინი საშიშარნი აღარ ყოფილან მათთვის.

ამგვარის აზრით ზნეობრივია ყოველივე დიდი ნაწარმოები მომავალის საუკეთესო კაცთა-შორის დამოკიდებულების მქადაგებელი და წინასწარმეტყველი. თუ ბოკაჩიო უმსგავსოებას გვიხატავს, ამ უმსგავსოების უარმყოფელის თვალით უცქერის და გვაზიზღებს იმ საზოგადოებას, რომელიც ამგვარს ცხოვრებას ეტანება. იგი გვიმტკიცებს, რომ ადამიანის კანონიერ და ბუნებრივ სურვათა ხელოვნურად შებოჭვა და ალაგმვა ბადებს ყოველ გვარ უმოქმედობას და თავის მიზანს ვერ აღწევს, მხოლოდ მშვენიერსა და დიდებულს გრძნობას ასახიჩრებს და ლაფში სვრის. ზოლა, რომელსაც თითქმის უწმაწურის მწერლის სახელი აქვს, ფრიად მაღალი ზნეობრივი მწერალია, მისი ნაწარმოები ზნეობრივობის სასტიკი დამცველია, ვინაიდან ძვირად შეხვედრია ვისმე ისეთი სასტიკი გამკიცხველი, იმ გვარი ულმობელი განმქიქებელი საზიზღარის ცხოვრებისა, როგორც ზოლა. ყოველი მისი თხზულება გულს ზიზღით გვივსებს იმ გუნდისადმი, რომელსაც ღრხვიწერს და ეს გუნდი ცხოვრების ამაშმორებელი გუნდია. აიღეთ მისი „ნანა“, მისი „ნანადირევი“, „ექენრუგონი“, „ფულები“ და სხვა. ყოველგან დაგმობილია ის პირნი, რომელთაც ყოველივე ადამიანურის გრძნობისა და აზრისათვის გვერდი აუქცევიათ, ყოველივე ბუნებრივი გრძნობა დაუმახინჯებიათ და გაუბინძურებიათ და მარტო „ოქრო“ და ბინძური აზრი და ფიქრი გაუხდიათ იდეალადა და ღმერთად. აიღეთ მოპასანი, თუ გინდ მისი რომანი—„საუცხოვო მეგობარი“, ეს საოცარი პოემა ბოროტების გამარჯვებისა. გამარჯვებულის სიბოროტისა და სიბინძურის წინაშე ქედს იხრის მთელი მბრძანებელი საზოგადოება; ეკკლესიაში ქრისტეს აღმსარებელი ხალხი გამარჯვების დაფნის გვირგვინით ამკობს არამზადას და ქრისტეს მოციქულთა მემკვიდრენი ღმერთს შევედრიან ბოროტების გაძლიერებისათვის, ეს ისეთი საოცარი სატირაა თანამედროვე საზოგადოების „ბურჯთა“ შესახები, რომლის მსგავსი ახალ ლიტერატურაში იშვიათია—ვერავითარი განსჯა და სასჯელი ისეთის სისასტიკით ვერ მოეპყრობოდა ადამიანის პირადობის შეურაცხმყოფელთ, ქრისტეს მოსავთ ქრისტესავე უარისმყოფელთ, როგორც ავტორი ემყრობა მათ ამ თხზულებაში.

ავიღოთ ისეთი ნაწარმოებნიც კი, რომელნიც მწერალს—კარის კაცს ეკუთვნის და რომლებსაც თითქო ეწამებიან კარის უფალთა წინაშე მლიქვნელობას. ავიღოთ ლუი 14-ის დროის ფრანგი მწერლები რასინი და კორნელი. თუ იგინი მეფეთა ცხოვრების განდიდებას ეტანებოდნენ—მათი მეფე სრულიად იდეალური არსება იყო, არავითარი საერთო არა ჰქონდა არსებულ მეფესთან, წინააღმდეგ მათის დრამებისა და ტრაგედიის გმირ მეფეებთან შედარებას სირცხვილით უნდა დაეწვა მათი მფარველი მეფე. ისეც კი მოხდებოდა ხოლმე, რომ მეფეთა ნაკლულევანებას ცხად ჰყოფდენ თავიანთ ნაწარმოებებში და ეს კარის კაცები კაი კაი წვეპლსა სთავაზობდნენ ხოლმე დიდებულს მეფეს ამიტომაც არის მათი ნაწარმოები დღესაც წარმტაცნი არიან, თუ იგინი მარტო პირმოთნეობისა და პირფერობის ნაყოფი იყვნენ დიდი ხანია დავიწყებას იქმნებოდნენ მიცემულნი. მაშასადამე აზროვნება და ზნეობრივობა—უმაღლესი, არა წარმავალის დღიდღლის მნიშვნელობით—განუყრელია ხელოვნების ნაწარმოებისაგან და ძირითადი თვისებაა ხელოვნებისა საზოგადოდ.

თვით განხორციელება მშვენიერებისა, რომელიც უმაღლესი იდეალია ხელოვნებისა, ულრმესის ზნეობრიობითაა აღბეჭდილი, თავის-თავად მშვენიერება ფიზიკური არის ერთი უმაღლესი იდეალი, მიუცილებელი საგანი კაცობრიობის წინმსვლელობისათვის. ხოლო გარეგანი სიმშვენიერე ხელოვანისათვის სიმბოლოა სულიერის მშვენიერებისა, ხელოვანისათვის ეს ორი მხარე განუყრელია და მისთვის წარმოუდგენელია მათი განშორება. მიქელ-ანჯელოს მხატვრობა, ჰერმესი-პრაქსიტელისა, ვენერა მილოსისა—გარეგან შეუდარებელ სიმშვენიერეში გვიშლიან სულიერის სიმდიდრის თვალუწვდენელ სიღრმესა და სიძლიერეს. განა ავთანდილი იდეალი არ არის კაცობრიობისა, მზე, გაფურჩვნილი ვარდი, რომლის გონიერება სჭარბობს სიმშვენიერეს, გული და გრძნობა გონიერებას და სიმშვენიერე ორთავეს ერთად, სამივე კი ისე არიან შედუღებულნი და ისეთ მომხიბვლელ ერთეულ შეადგენს, რომ სამარადისო სანეტარო იდეალად იქმნება ადამიანისათვის.

კოტე აბაშიძე.

იტკივებს ზოგს გული შოსდის, ზოგიც გაიძახის თავი მტკივა და ხოლერა ხომ არ შემხვდებაო. გაგზავნილმა თიანეთის ექიმმა გამოიკვლია და სთქვა ხოლერა არ არისო, მაგრამ ახმეტის ექიმმა კი აღმოაჩინა ხოლერა კვირამდე ეს საშინელი სენი კარგად მუსრავდა ხალხს და ეხლა კი ახმეტის ექიმის ბ-ნ ბერეჟიანის და ხევსურეთის ფერშლის ვ. თედოას წყალობით, რომელთაც სასტიკი ზომები მიიღეს ხოლერის წინაამდეგ, ავანტყოფობამ ნელნელა იკლო. სულ სამივე სოფელში თორმეტამდე კაცი მოკვდა, ავად, ხოლერის ნიშნებით და შიშისაგან არის ოცდა ათზედ მეტი. შეშინებული გლეხები ანებებენ ნამუშავარს, სახლ-კარს თავს და იხიზნებიან ტყეებში. თუ ასე გაგძელდა დიდხანს საწყალი გლეხები შიმშილით დაიხოცებიან თუ ხოლერას გადაურჩნენ. გზები შეკრულია; ერთი სოფლიდან მეორეში არ უშვებენ, მაგრამ უფიცი ხალხი მაინც ტუე-ტუე იპარება.

HEMO

# ქართველი უკრაინაში

(სოფელ და სოფელ)

უკრაინა ორ ნაწილად იყოფა. მდინარე დნეპრის მარჯვენა მხარესაკენ დასავლეთ უკრაინას ეძახიან, მარცხენასკენ—აღმოსავლეთს. რამდენად აღმოსავლეთი უკრაინა მთლიან ერთ ეროვნებით დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენს, იმდენათ დასავლეთ უკრაინა აკუწულ-დაკუწულია. ცხადია, დასავლეთშიაც სხვა ეროვნებათა შორის უკრაინელები უმეტესობას შეადგენენ, მაგრამ სხვა ეროვნებათა რიცხვიც საკმაო, რომელთაც უკრაინელების ეროვნული ინტერესები არაფრად აუტკენს თავს. და რაც უფრო უკრაინის დასავლეთი მხარე უახლოვდება გალიციის სამზღვრებს, მით უფრო თვალსაჩინო ხდება ტერიტორიის აჭრელება. თუ რა შედეგები მოუყვება ხოლმე ტერიტორიის მთლიანობის დარღვევას, ყველას კარგათ მოეხსენება. გალიციაში, სადაც უკრაინელები და პოლონელები ერთმანეთში არის არეული, საშინელი ეროვნული ბრძოლაა გაჩაღებული. ერთის მხრით, პოლონელები ცდილობენ ჩაიგდონ ხელში ამ მხარის მთელი კულტურულ-პოლიტიკური ძალა, მეორეს მხრით უკრაინელები. ამ მხრივ მათ მადას არა აქვს სამზღვარი. პოლონელი, როგორც უფრო კულტუროსანი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. უკრაინელები იძულებული არიან მათ ნასუფრალით იკვებინ. ბატონობს პოლონელი, ასე დახედეთ, გალიციის აღმოსავლეთ მხარეშიაც, სადაც რუსინების (უკრაინელების) რიცხვი დიდ უმეტესობას შეადგენს. საგულისხმიეროა ამ მხრით პროფესორ გრუშევსკის მიერ მოყვანილი გალიციის სეიმის — 1904 წლის ანგარიშები.

ა. სუბსიდიები სკოლებს პოლონეთის და სხვა და სხვა ეროვნულ დაწესებულებებს . 74,830 კრონი.
რუსინების სკოლებს და სხვა და სხვა ეროვნულ დაწესებულებებს . . . 9,400 „
ბ. სუბსიდიები პოლონურ თეატრებისთვის . . . 119,000 „
რუსიანების თეატრებისთვის კი . . . . 18,500 „
გ. პოლონეთის სამეურნეო ხასიათის სკოლებისთვის და საზოგადოებისთვის . . 659,274 „
რუსინების სამეურნეო ხასიათის სკოლებისთვის და საზოგადოებისთვის კი . . . 4,000 „
დ. სუბსიდიები პოლონურ სხვა და სხვა საქველ მოქმედო საზოგადოებისათვის . . 45,000 „
რუსინების სხვა და სხვა საქველმოქმედო საზ. კი . 1,800 „

ეს ცხრილი, როგორც ხედავთ, მჭერმეტყველურად ამტკიცებს, თუ რა როგ არის გალიციაში უკრაინელების ინტერესები შელახული. პატივცემულ პროფესორს გრუშევსკის ბევრი სხვა ციფრებიც მოჰყავს გალიციის სეიმის ანგარიშებიდან, მაგრამ ჩემის ფიქრით ეს ციფრებიც ნათლად გვიხატავს ამ ორ ეროვნებათა დამოკიდებულებას გალიციაში. ამ საკითხს შემდეგში უფრო ვრცლათ შევეხებით. ეხლა დაუბრუნდეთ ისევ დასავლეთ უკრაინას. როგორც ზევითა ვსთქვით, უკრაინის დასავლეთ მხარეში უკრაინელები დიდ უმეტესობას შედგენენ. მაგრამ მიუხედავად ამისა მთელი ადგილობრივი წარმოება, საუკეთესო სახნავი ადგილები პოლონელების ხელშია; „პანებათ“ იგინი არიან გამოცხადებული „ხოლოპებათ“ კი უკრაინელები. აქედან ცხადია ის ეკონომიური დამოკიდებულება, რომელსაც უკრაინელები განიცდიან. მიწის სივიწროვე იქეთკენ ჩვეულებრივი მოვლენაა. გლეხი ქონებრივად ისეა დაქვეითებული, რომ შიმშილით სული ხდება; გადის სამუშაოთ სხვა და სხვა ადგილობრივ ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, მაგრამ აქაც სამუშაო ქირა ძლიერ მცირეა. რომ უკრაინელის გლეხის ოჯახური მდგომარეობა წარმოიდგინო, საკუთარის თვალით უნდა ნახო მისი ავლა დიდება, ყურით უნდა ისმინო მისი გულის თქმა. უკრაინელი გლეხი მშვიდი, წყნარი, შრომის მოყვარე და მასთან დიდი მორწმუნეა. მისი ოთახი სავსეა ხატებით, შესვლისთანავე იგი პირჯვარს გადაიწერს ხოლმე. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენი გლეხი პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ჩვენ გლეხის ოჯახში ხატი ძნელად თუ მოიძებნება. ჩვენი გლეხი ნაკლებად ხატავს გარეგნულ ფორმაში თავის რელიგიოზურ რწმენას. გამოველაპარაკები თუ არა უკრაინელ გლეხს იმ წამშივე მიწის სივიწროვეს შემოგჩივლებს. გადასახლების შესახებ, როგორი აზრისა ხართ—დავეკითხე ერთ გლეხს; როგორ, ციმბირში? დიახ ციმბირში მეთქი. ციმბირში წავიდნენ ჩვენები, მაგრამ ზოგი ავად გახდა, ზოგი კიდეც დაიხოცნენ, ჩვენ ძმას იქ არ გაეძლებაო—მომიგო გლეხმა. ჩემთვის საინტერესო იყო, თუ რას იტყოდნენ კავკასიაზე და ამიტომ ლაპარაკიც კავკასიაში გადასახლებაზე გადვიტანე—კავკასიაში არ გინდათ გადასახლება? როგორ არ გვინდა, პანო, მაგრამ ვაი თუ იქაც ისე დაგვემართოს, რაც ციმბირში“— სთქვა გლეხმა. მე აუხსენი, რომ კავკასიაში მისი ძმა ქართველი გლეხი უარეს მდგომარეობას განიცდის მიწის სივიწროვის გამო, აუხსენი რასაკვირველია რამდენადაც შესაძლებელი იყო მთავრობის ანტისოციალური პოლიტიკა ამ საკითხში. აღსანიშნავია, რომ უკრაინელი გლეხი, როგორც მისი მონათესავე ველიკოროსი, მოხეტიალე ბუნებით. სამშობლოს დაშორება, სადაც მისი მამა-პაპა სცხოვრობდა, სადაც გაიზარდა და საუკეთესო წუთები განვლო, ნაკლებათ აინტერესებს. საგულისხმიეროა ამ მხრით მწერალ ამფიტიატროვის აზრი რუსის ხალხზე. „ოჰ! ღმერთო, სად არ შეხვდები ჩვენ ხალხს, იგი ბუნებრივად დაუდეგარია, არ უყვარს ერთ ადგილს გაჩერება—განა გრძნობს პატივცემული მწერალი თავის „ლამაზ ზღაპარში“, სადაც იგი აგვიწერს ჩვენ სალიქადულო პოეტის ალ. ყაზბეგის სამშობლოში მოგზაურობის დროს ერთ მოხეტიალე რუსის შეხვედრას.

როგორც არა ვსთქვი ზევით, დასავლეთ უკრაინაში კულტურულ-ეკონომიური ძალა პოლონელების ხელშია, თუმცა მათ არა აქვთ უფლება მიწა საკუთრებად შეიძინონ, მაგრამ მათ კეთილ-დღეობისთვის ამ გარემოებას ბევრი ზიანი როდი მოაქვს. პოდოლის გუბერნიაში, სადაც სადგურ კალინოვკიდან—სიამკამდე ვიწრო ლიანდაგის გზა მიდის, მშვენიერი გაშლილი ჭალებია, რომელიც სრულიად გახვეულია პატარ-პატარა გორაკებში. რუსეთში ძვირათ შეხვდებით ბუნებით ასე დაჯილდოვებულს ადგილს. სოფელი ულადოვკა, რომელიც ამ რკინის გზაზე ძევს, წარმოების ცენტრია. აქ შაქრის და სხვა და სხვა სასმელების გამოსახდელი ქარხნებია. მთელი ახლო მიდამოები ჭარხლის პლანტაციებით არის სავსე, გარშემო სოფლელები ამ ქარხნების შემყურეა, აქ ისინი ორიოდე გროშსა შოულობენ. ამაოდ ეძებთ ქარხნების სხვა და სხვა შემოსავლიან ადგილებზე უკრაინელებს, მათი რიცხვი, მხოლოდ მუშებშია ბევრი. აღსანიშნავია, რომ თუ პოლონელმა რაიმე წარმოებაში, რაიმე საქმეში ფეხი მოიდგა სულ თავისიანებს ერეკება და ცოტა ხანია საჭირო, რომ პოლონელებით აივსოს ესა თუ ის დაწესებულება. ამ მხრით პოლონელების მოქმედება სწორედ რომ გასაოცარია. ვერ შეხვდებით პოლონელთა შორის ვერავითარი საზოგადოებრივ საფეხურს, რომ იგი შესაფერად არ იყოს გაჟღენთილი ნაციონალურის გრძნობით. არისტოკრატი, ბურჟუა მუშა ყველა აქტიური ნაციონალისტია, თუმცა მათი ნაციონალიზმი სხვა და სხვა ფორმებში იხატება. თუ ბურჟუა შოვინიზმის დროშას აფრიალებს, სამაგიეროთ მუშა უფრო ზომიერია ეროვნულ საკითხში, თუმცა ხშირად ისინიც აჭარბებენ და ამ დროს ადამიანი ვერ ნახულობ განსხვავებას, ვერ არჩევ მშრომელი ხალხის ეროვნულ იდეალებს მათ პრივილეგიურ კლასთა მისწრაფებებიდან, რომელიც მეზობელ პატარა ერის გასრესაში გამოიხატება. პოლონელ მუშის გადაჭარბება ეროვნულ საკითხში არც ისე გასაკვირია, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. იგი გამოწვეულია იმ აუტანელ პოლიტიკურს სოციალურის ატმოსფერით, რომელსაც დღეს რუსეთში დაუბუდნია და კალთა გაუშლია. ამას გარდა ეროვნული პრობლემა არც ისე ადვილი გასარკვევია. იგი ადამიანიდან შესაფერ გათვითცნობიერობას და ობიექტივობას თხოულობს. ეროვნული გრძნობას ბა ჩვენს სულიერ ბუნების ერთ ნაწილს შეადგენს, ამიტომაც მისი შელახვა ადამიანისთვის ძნელი გადასატანია. ძლიერ მტკიცე ხასიათისა უნდა იყვე, მეტის გარკვევით და შეგნებით უნდა გქონდეს გათვალისწინებული შენი და სხვა ერის იდეალები, რომ თავგზა არ აგერიოს ეროვნულ საკითხში, იმ დროს როდესაც შენ ერს საფთხე მოელის, როდესაც შენი ერის ყოველივე კულტურულ მოთხოვნილებებს და წმიდათა-წმიდას სთელავენ, მიწასთან ასწორებენ. თვით მარქსიც კი, რომელიც პრინციპიალური წინაღმდეგი იყო ეროვნული საკითხის წამოყენებისა, ხშირად ვარდებოდა ამ საკითხშივე წინაღმდეგობაში. საკმარისია ადამიანი გაეცნოს იმ წყაროებს, სადაც ბაკუნინის და მარქსის დამოკიდებულება ირკვევა, რომ თვალწინ წარმოუდგეს ამ საკითხის მეტი სიდიადე და სირთულე. იმ დროს, როდესაც ბაკუნინი ძლიერ გატაცებული იყო ეროვნულ საკითხით და სლავიანთა ფედერაციაზე ოცნებობდა „славная славянская федерація“ გერმანელები მას არაფრად ეპიტნავებოდა; იგი დარწმუნებული იყო, რომ კომუნიზმს, მხოლოდ სლავიანთა ხალხის გატაცება შეეძლო, მხოლოდ მათ შორის ქონდა ნიადაგი. ამ დროს მარქსი ძლიერის ზიზღით იხსენიებს სლავიანებს. მისი მაშინდელი წერილები „რეინის ახალ გაზეთში“ სავსეა შოვინისტურ აზრებით. „სლავიანები, გარდა პოლონელებისა გამოუსადეგარია, მათ არავითარ ცივილიზაციის, კულტურის შეთვისება არ ძალუძთ, პანსლავიური მოძრაობა ცდილობს განათლებული დასავლეთი უკულტურო პირველყოფილ აღმოსავლეთს დაუმორჩილოს.“ ამავე გაზეთში, ავსტრიის მაშინდელ საქმეების შესახებ მარქსი სწერს რომ „რასაც არ უნდა გათავდეს ავსტრიაში დღევანდელი მოძრაობა, აუცილებელია საქმის კარგ ბოლოებისათვის გერმანელებმა სრულიად ამოხოცონ ჩეხები.“ აი როგორ მაინც აზრებს ქადაგებდა ხოლმე მარქსი, რომელიც თეორიაში ყოველივე მის პრინციპიალური წინაღმდეგი იყო. თვით შესანიშნავი პირები, როგორც არის გერცენი და ბაკუნინი ანტიპატიურად უყურებდნენ გერმანელებს „პსიხოლოგიურად წარმოუდგენელია გერმანელებმა კომუნისტური დროშა აafრიალონ, მათ ეს მოძრაობა ვერასოდეს ვერ გაიტაცებსო“—ამბობდენ რუსეთის გამოჩენილი სოციალისტები. აქ ჩემთვის ზედმეტია სხვა მაგალითების მოყვანა ან იმის თქმა თუ ვინ იყო მართალი. მოყვანილი ადგილები ჩემთვის იმდენად არის საჭირო, რამდენადაც იგი ეროვნულ საკითხის სიდიადეს და სირთულეს ნათლად გვიხატავს თუ ამ საკითხის გადაჭრის დროს შეცდომაში ვარდებოდენ ამისთანა შესანიშნავი პირები, როგორიც არიან გერცენი, ბაკუნინი და მარქსი, რა გასაკვირია პოლონელ მუშას არ ჰქონდეს სწორი შეხედულება, ერთი საზომი ეროვნულ საკითხის სფეროში.

ეკონომიურ ძალთა უთანასწორობამ დასავლეთ უკრაინაში, მთელი წარმოების და სიმდიდრის პოლონელების ხელში ჩაგდებამ გამოიწვია ამ ორ ეროვნებათა შორის უთანხმოება, სიძულვილი. უკრაინელ გლეხისთვის სიტყვა პოლონელი ჩარჩის, მყვლეფელის სინონიმია. დასავლეთი უკრაინა რამოდენიმეთ მოგაგონებთ აღმოსავლეთ საქართველოს, თუმცა უნდა ითქვას სიმართლე, რომ აღმოსავლეთი საქართველო უკეთეს პირობებშია. სომხობას, რომელიც აქ ალებ-მიცემობას ეწევა, რამოდენიმედ მაინც უწევს კონკურენციას ადგილობრივი ეროვნული ელემენტები. კულტურული მუშაობა ქართველების ხელშია, ინტელიგენცია საკმაოდ მოიძებნება. აღმოსავლეთ საქართველოში ქართველებს ბრძოლა უხდებათ თანაბარ კულტურის საფეხურზე მდგომ ეროვნებასთან. უკრაინელები კი ყველა ზემო მოყვანილ პირობებს მოკლებული არიან. მათ დასავლეთ უკრაინაში არც ინტელიგენცია მოეძებნებათ, არც ვაჭრობაა მათ ხელში და არც წარმოება. თუ აღმოსავლეთ საქართველოში ქართული ენა, ტრადიციები, ზნე, ჩვეულებანი მეფობს და მოსული ელემენტები ქართველდებიან და სამუდამოთ ითვისებენ ჩვენს კულტურას, სამაგიეროთ დასავლეთ უკრაინაში წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ; ქალაქად, დაბებში და ზოგიერთ სოფლებშიაც პოლონური კულტურა იკიდებს ფეხს. ბელორუსიაც მხრივ უკეთესი ნიადაგს წარმოადგენს, ხშირად შეხვდებით ბელორუსებში იმგვარ ტიპებს, რომელსაც სრულიად გაუწყვეტია სულიერი კავშირი თავის სამშობლოსთან და პოლონელათ მიაქვს თავი. ამგვარ მაგალითებს მარტო პრივილეგიურ წოდებაში როდი ვამჩნევთ [illegible] ვიტყოდით, მაგრამ სამწუხაროდ ის არის, რომ თვით ბელორუსის დემოკრატია ადგას ამ გზას, რაც იმის მომასწავებელია, რომ თუ ასე დიდხანს გასტანა და პოლონელთა კულტურულმა და ეროვნულმა თვით ცნობიერებამ არ იმატა, ისინი სამუდამოთ გაითქვიფებიან პოლონურ კულტურაში. რაც უფრო უახლოვდებით ავსტრიის სამზღვრებს, მით უფრო თვალსაჩინო ხდება პოლონელთა ბატონობა. უნდა ითქვას, რომ პოლონელი, რამდენად რუსეთში პროგრესისტია ეროვნულ საკითხის სამართლიანათ გადაჭრაში, იმდენად იგი ავსტრიაში რეაქციონერია. გალიციაში, სადაც იგი შედარებით კარგ პირობებშია, გაბატონებულ ეროვნების დროშას აფრიალებს და ნაკლებად აინტერესებს თავის მეზობელ რუსინების ბედ-იღბალი. უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო ხანებში უკრაინელი გლეხი იღვიძებს. ხშირად შეხვდებით მათ შორის სხვა და სხვა ამხანაგობებს, კავშირებს და მომხმარებელ მაღაზიებს. თქმა არ უნდა რომ ამ ბოლო ხანებში მომხდარმა ამბავმა უკრაინელი გლეხი გამოაღვიძა და შეაყვარა საზოგადო საქმეები. სამწუხაროთ ყველა ის საზოგადო ხასიათის, დემოკრატიული დაწესებულებები, რომელიც დასავლეთ უკრაინაშია, უპატრონოთ არის მიგდებული. საზოგადო საქმეებს სათავეში არა ჰყავს გულშემატკივარი ინტელიგენცია და ამიტომაც ეს დაწესებულებანი თვალსაჩინო კვალს ვერ სტოვებენ უკრაინელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საქმეს არაფერი ეშველება, სანამ უკრაინელი საზოგადოების ამოძრავება მასიურ ხასიათს არ მიიღებს. უკრაინული ინტელიგენცია კარგად გრძნობს თავის გასაჭირს დასავლეთ უკრაინაში. იგი შეძლების და გვარათ ცდილობს მიეშველოს სოფელს, თავის მშრომელ გლეხობას, რომელიც მის ეროვნების საფუძველია. რამდენათ ნაყოფიერი იქნება ამ მხრივ უკრაინის ინტელიგენციის მუშაობა ამას მომავალი დაგვანახვებს.

კ. ჩხეიძე

# თეატრი და ხელოვნება

**ქვემო მაჩხაანი.** ამ მოკლე ხანში ს. ქვემო-მაჩხაანში სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენილი იქნება ჩვენის საუკეთესო დრამატურგის სუმბათაშვილის „ღალატი“.

28 თიბათვეს, ამა წლის ქართულ თეატრის მსახიობების ელო ანდრონიკაშვილის, ა. იმედაშვილის, შ. დადიანის და ახოსპირელის მიერ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იყო: 1, „არსენა“ დრამა 3 მ. ა, ყაზბეგისა, 2. „ბეში რქ ადა და შანტაჟისტები“ ვოდ. 1 მოქ. 3, „ორი მმართა“ ვოდ 1 მოქმედ. დ. აწყურელისა. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო, ასე რომ ხარჯი ძლივს დაჭფარა.

კარგი იქნება ქვემო-მაჩხაანის წიგნთსაცავ-სამკითხველოს მდგომარეობასაც ყურადღება მიაქციოს სოფლად მოსულმა ახალგაზრდობამ და ვისაც წიგნთსაცავს ფეხქვეშ ქირასა გადახდევინოს...

X

# სასამართლო

**თავ. ჯორჯაძის მოკვლა ივლიევის მიერ.**

ამ წლის 21 მარტს, დაახლოვებით საღამოს 11 ს. ტფილისში, სასახლის ქუჩაზე მისეირნობდნენ თავ. ლევან ჯორჯაძე, ნაფიც მსაჯულის თანაშემწე ლევან წერეთელი და ძმები ნიკოლოზ და გრიგოლ მარქაროვები. ქართულ თეატრთან ესენი შეხვდნენ გორის საპატიმროს ყოფილ ზედამხედველს ივლიევს. ჯორჯაძემ მიუთითა თავის ამხანაგებს და უთხრა „აი-გორის ციხის ყოფილი ზედამხედველიო“. ივლიევი გაჩერდა. თავ. ჯორჯაძე მივიდა მასთან და უთხრა, მე თქვენ მახსოვხართ, რაც ციხეში ვიჯექიო. ამაზე ივლიევმა უპასუხა—თუ კიდევ ჩაჯდები ციხეში უფრო მკაცრად მოგეპყრობითო“. ამ სიტყვებზე ჯორჯაძემ სილა გაარტყა ივლიევს. ივლიევმაც საპასუხოდ ამოიღო ჯიბი[დან] ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი და რ[ამ]დენჯერმე ესროლა ჯორჯაძეს [illegible] მეორე დილითვე გარდაიცვალა [illegible]

23 ივლისს გაირჩა ტფილისის საოლ[ქო] სასამართლოს სისხლის სამართლის მე[ორე] განყოფილებაში. მოწმეებმა დაადასტუ[რეს] საბრალმდებლო ოქმის ჩვენება რომ ჯო[რჯ]აძემ სიტყვიერად შეურაცხყოფა მია[ყენა] ივლიევს და სილაც გაარტყა, იმათ ის[ეც] სთქვეს, რომ ჯორჯაძემ ხმალზე წაივ[ლო] ხელიო. სასამართლოში აგრეთვე წარა[მო]გინეს ექიმების შემოწმებული განაჩ[ენი] საიდანაც სჩანს, რომ ივლიევი ნერვებ[ით] ავადმყოფი ყოფილა და მალე ღელდებ[ა].

პროკურორის ამხანაგმა ივლიევი დ[ამ]ნაშავედ იცნო ჯორჯაძის მკვლელობა[ში] მხოლოდ აღელვების გამო და თხოუ[ლო]ბდა მის დასჯას, ივლიევის დამცვ[ელი] ბოგდანოვი კი ამტკიცებდა, რომ ეს [მკ]ვლელობა მოხდა აუცილებელ თავის [და]ცვის ნიადაგზე და თხოულობდა ბრა[ლ]დებულის გამართლებას, ან და ყოვ[ელ] შემთხვევაში ივლიევი დამნაშავეთ ეცნო[ს] მხოლოთ იმაში, რომ ივლიევმა თა[ვის] დაცვის დროს სასტიკ ზომას მართა. ოლქ. სასამართლომ ხანგრძლ[ივი] თათბირის შემდეგ ივლიევი დამნაშა[ვედ] იცნო ჯორჯაძის მოკვლაში და მიუს[აჯა] ყველა უფლება-უპირატესობის ჩამორ[თ]მევა და სამი წლით პატიმართა გამას[წო]რებელ რაზმში გაგზავნა. მხოლოდ მი[იღ]ო რა მხედველობაში ისიც, რომ ეს დ[ამნა]შაულობა გამოწვეული იყო შემთხვევ[ითი] გარემოების გამო, სასამართლომ გა[და]სწყვიტა იშუამდგომლოს ხელმწიფე [იმ]პერატორის წინაშე შეუცვალოს ეს სასჯელი ექვსი თვით ციხეში დაპატიმ[რე]ბით უფლება უპირატესობის ჩამოუ[რთ]მევლად. ამასთანავე დადგინეს გაანთა[ვი]სუფლონ ივლიევი 500 მან. თავმდებობ[ით].


# განცხადებანი

## ლუდის შესახებ

ხოლერის გაძლიერებამ ზელ ახლად მოაყენა საკითხი: რა უნდა სვას გ[ლეხმა] რომ ხოლერით ავად გახდომის შიში [არ] ე[ქ]ნეს? ექიმები ამტკიცებენ, რომ მაგ[არი] სასმელების გადაჭარბებული ხმარება საფერ ნიადაგს უმზადებს ხოლერას, მაგრამ ამ სასმელების რიცხვს არ ეკუ[თვ]ნის ლუდი, რადგან მას მხოლოდ 3[%] ალკოჰოლი აქვს. ექიმების დაკვირვ[ებით] ჰამბურგში ხოლერის დროს, ყველაზ[ე ნა]კლებ ავადმყოფების პროცენტს იძლე[ოდ]ნენ ლუდის გამომხდელ ქარხნებში მუშავენი. ცდამ დაამტკიცა, რომ ხო[ლე]რის ვიბრიონები ლუდში რამდენიმე [ს]ათის განმავლობაში იხოცებიან («ს. პეტერბ. სავრაჩებნ. უწყებები». 190[8] N 216).

„პეტერბ. ფურცელი“ (№ 262, 190[8]) იუწყება, რომ „ქალაქის საავადმყოფ[ოებ]ი ამ ავადმყოფებს, რომლებიც უკედ [ხ]ნებიან, ასმევენ ლუდს როგორც სა[უკე]თესო ჰიგიენურ სასმელს“.

ვაჭრობისა და მრეწველობის წარმ[ომა]დგენელი საძელმწიფო სათათბიროსი[ს] მიმართულ წერილში ნათქვამია: „ყვ[ელა]გვარი მაგარი სასმელები კი არ ა[რის] ლოთობის მიზეზი და ყველას კი არ ხდევს ცუდი შედეგები. არის იმის[თანა] მაგარი სასმელები, და მათ შორის [ლუ]დი, რომლებიც არ უნდა იდევნებოდ[ეს]“.

სხვა და სხვა ქვეყნებში ლუდის ხმა[რე]ბის შედარებითი ცხრილი გვიჩვე[ნებს], რომ რუსეთში თითო სულზე იხარ[ჯება] მხოლოდ 3,8 ლიტრა, მაშინ როდესაც ბ[ელ]გიაში იხარჯება 195,2, გერმანიაში— ლიტ.

აქედან აშკარაა, რომ ხოლერის დ[როს] ლუდის ნორმალური, ზომიერი ხმა[რება] არ არის მავნებელი.

ამიტომ ლუდის სმის ნუ გეშინიანთ!

(1—356)

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი ლევა

ისტორიული დრამა 5 მოქმედება[დ] გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევ[ისა]

ფასი ორი აბაზი

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წ[ერა]-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზი[აში].

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურ[ო]

ჟურნალს

## „განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და [და]გზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც მოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს [..] ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებ[ლ]ებ[ი]სთვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადო[ების] წიგნის მაღაზიაში“—**ივანე ავალიშვილთან,** „ნაკადულის“ რედაქციაში და კე[რძო] აგენტებთან.

**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимн[азія] Л. Г. Боцвадз[е]

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძ[ე]

## იყიდება

სახლის ადგილებად მიწა ნაჭერ-ნაჭრად ზომით თითო 84 ოთხკ. სა[ჟენი] და მეტი. ადგილი მეტად საღ და მშრალ ადგილზეა ნაძალადევში, სადაც განზრახულია მოსავალ ტრამვაი გაჩერდეს ხოლმე. ფასი ადგი[ლი]სა საჟენი 5 მანეთიდან. ვისაც უნდა ადგილების დათვალიერება მი[მარ]თოს დარაჯს იაგორს, ყურგნისა და მაგისტრალის ქუჩების კუთხეე[ბში] ნაძალადევში. ცნობებისათვის მიმართონ ნოტარიუსს სტრახოვს, ე[რე]ვნის მოედანზე.

(3[...])


რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3